ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლის ხმა

1919 წ. ნოემბერი

პარიზი

N° 1

1929 — NOVEMBRE

Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. საზღვარგარეთელ ბიუროსი

«L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle duParti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

ჩვენი გზა

«ბრძოლის ხმა» მეტათ თვალსაჩინო მომენტში გამოდის.

საბჭოთა მთავრობა ჩაბმულია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. მის წინაშე ამართულია არა ერთი და ორი ფრონტი, დარაზმულია მრავალი მტერი სოფლად და ქალაქად, შიგნით და გარეთ, თვით კომუნისტურ პარტიაშიც კი. საოკუპაციო ხელისუფლებასთან ბრძოლაში ქართველ ხალხს მრავალი მოკავშირე გაუჩნდა.

მთელ საბჭოთა კავშირის მანძილზე ვერსათ მოძებნით ოდნავ მნიშვნელოვან წრეს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე იდგეს და მის დამაგრების შესაძლებლობას იზიარებდეს.

რა იყო კომუნისტური პარტია რუსეთში ამ ცამეტი წლის წინეთ? ყველაფერი.

რას წარმოადგენს ის დღეს? თითქმის არაფერს.

მართლაც 1917 წელს ლენინის დროშას გაყვა შიდა რუსეთის თითქმის მთელი მუშათა კლასი. მიემხრო მთელი გლეხკაცობა, გვერდში ამოუდგა მრავალი დამორჩილებული ერი. მის წინაშე ძრწოდა მთელი ბურჟუაზიული ქვეყანა.

რას ვხედავთ დღეს?

გლეხკაცობა სავსებით საბჭოთა ხელისუფლებას მტრობს და მის წინააღმდეგ აშკარათ თუ ფარულათ გამოდის. გლეხი ვერ ურიგდება იმ ახალ ბატონყმობას, რომელიც დააწესა კომუნიზმმა და მთელი თავისი ძალღონით ებრძვის ინდუსტრიალიზაციას, რომელიც მოასწავებს გლეხის უდიერათ გაყვლეფას, მისი ნაშრომითა და გაძარცვით სახელმწიფო წარმოების გაჩაღებას და ყოველი საშვალებით გლეხის ბიუროკრატიულ კლანჭებში ჩაჭერას. ომის წინანდელ ფასების დაწესება პურსა და სამრეწველო ნაწარმოებზე—აი სამართლიანი მოთხოვნილება გლეხისა. ეს რუსულ კომუნიზმის უარყოფაა და მისი დაცემის მოახლოება იქნება. ამიტომაც არის საბჭოთა ხელისუფლება თავგდებულ გლეხის მოსარჯულებლათ ლაშქრობას შეუდგა და სურსათის სოფლად შესაკრეფათ აამუშავა მთელი თავისი აპარატი პარტიისა, ჩეკისა, მილიციისა, პროფკავშირებისა და კომკავშირისა. რაც დრო გადის კომუნისტურ ხელისუფლების ბრძოლა გლეხკაცობასთან უფრო და უფრო მწვავდება.

თვით მუშათა წრეებშიც კი, რომელიც ნომინალურათ გაბატონებულ კლასათ ითვლება, აშკარა უკმაყოფილებამ იფეთქა. ამას ვერ მალავს ვერც კომუნისტური პრესა. სანოვაგის სიმცირე, ცხოვრების საშინელი სიძვირე, ხელფასის დაცემა, განუწყვეტელ საწარმოვო კვირის შემოღება, სამუშაო დღის რამდენიმე საათით გადიდება, ინდუსტრიალიზაციის სესხის იძულებითი გავრცელება, მოკლეთ არსათ ნახული ექსპლუატაცია—აი ხვედრი საბჭოთა კავშირის მუშათა კლასისა, აი რა იწვევს მუშათა მღელვარებასა და ამხედრებას. რუსულ კომუნიზმს თავისი უკანასკნელი ბურჯიც გამოეცალა.

დამორჩილებულ ერთა მოძრაობა თანდათან ღრმავდება და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საშიშარ ძალათ იქცევა. არა თუ ცნობილი ერები, თვით უმნიშვნელო და უისტორიო ერებიც კი ფეხზე წამოდგენ, ეროვნულ კერას აგებენ და თავისი ბედის გადაჭრას საკუთარი ძალღონით ეტრფიან. დღეს ამ ერებისათვის აშკარა შეიქნა, რომ მოსკოვის ხელისუფლება მათ ეკონომიურათ ძარცვავს, პოლიტიკურათ იმონებს და მათ ეროვნულ განვითარებას აფერხებს. ამიტომაც არის მოძრაობა თავისუფალ თვითგამორკვევის მოსაპოებლათ დღითი დღე ფართოვდება და საბჭოთა კავშირის მთლიანობას ემუქრება.

როგორც ხედავთ, რუსულმა კომუნიზმმა თავის წინააღმდეგ ყველა კლასი და ერი დარაზმა. ბოლშევიზმის საბოლოო იზოლიაცია უკვე ფაქტია.

მაგრამ უმთავრესი დამარცხება საბჭოთა ხელისუფლებამ ეკონომიურ სარბიელზე იგემა. ვინ არ იცის რა დიდი ზეიმით აუწყეს ქვეყანას ინდუსტრიალიზაციის ხუთ წლიან გეგმის მიღება. განზრახულ პროექტით საბჭოთა კავშირმა სამრეწველო განვითარებით თვით ამერიკას უნდა გაუსწროს და მით საბოლოო ეკონომიური დამოუკიდებლობა მოიპოვოს. მართლაც ან საწარმოვო ძალთა განვითარების ხელის შეწყობა ანდა კომუნისტურ იდეოლოგიაზე საბოლოოთ ხელის აღება და მოწინავე დემოკრატიის ნიადაგზე დადგომა. ასეთია დილემა. მაგრამ ინდუსტრიალიზაცია დიდ თანხებს მოითხოვს. განზრახულ გეგმის ასრულება თვით ევროპის მრავალ მოწინავე სახელმწიფოთა ეკონომიურ ძალღონეს აღემატება. ხოლო ბოლშევიზმი უმთავრეს იმედებს გლეხკაცობის გაძარცვაზე ამყარებს. და ეს იმ დროს, როცა სასოფლო მეურნეობა შებოჭილია და მას განვითარების შესაძლებლობა წართმეული აქვს. განა გალატაკებულ ხალხს შეეძლება წლიურათ რამდენიმე მილიარდი თანხა გაიღოს?

ინდუსტრიალიზაცია მოასწავებს შინაურ ბაზრის გაფართოებას, დამზადებულ საქონლის მასიურ გასაღებას და ასე გაცვლა-გამოცვლის უაღრესათ განვითარებას. მაგრამ ხალხის დიდი უმრავლესობა საშინლათ გაღატაკებულია, თვით აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშვალებას მოკლებულია და საჭირო საქონლის შეძენაზე ფიქრიც არ შეუძლია. ინდუსტრიალიზაციის გეგმა თავიდანვე განწირულია. სწორეთ ამას ვხედავთ სინამდვილეში. ბოლშევიზმი მრავალ ეკონომიურ წინააღმდეგობათა ქსელში გახლართულია. ცხოვრება ყველა მის ეკონომიურ გეგმას დასცინის.

როგორც ხედავთ, რუსული კომუნიზმი როგორც იდეოლოგიურათ, ისე პრაქტიკულათ გაკოტრდა. ამ ნიადაგზე ხდება კომუნისტურ პარტიის ოპოზიციის გაძლიერება, ახალ-ახალ ელემენტების პარტიიდან გარიცხვა ან თავისი ნებით პარტიის რიგებიდან გაქცევა. ამ მხრივ მეტათ დამახასიათებელია საფრანგეთის საელჩოს პირველი მდივნის ბესედოვსკის ანტიკომუნისტურ ბანაკში გადასვლა. ბოლშევიზმის ხომალდი იღუპება და იქიდან ვირთაგვები გარბიან. ეს პროცესი განსაკუთრებით თვალსაჩინოა საქართველოში, სადაც თითქმის ყველა ცნობილი ბოლშევიკი ოპოზიციის ბანაკში აღმოჩნდა, ხოლო კომსომოლის გავლენა მცირდება და მრავალი მისი ყოფილი წევრი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა ბანაკს უერთდება და მის გაძლიერებას ემსახურება. კომუნისტური პარტია შიგნიდან ირღვევა.

ეს განსაკუთრებული სისწრაფით ევროპის კომუნისტურ პარტიებში წარმოებს. ევროპის მუშათა წრეებში უკვე გაქრა ილიუზია, თითქოს რუსეთში პროლეტარიატის ბატონობა დამკვიდრდა და სოციალიზმს გზა გაეხსნა. დღეს უცხოეთში აშკარათ ხედვენ, რომ რუსეთში სტალინის პირადი დიქტატურაა, რომელიც საშინელ ტერორით სულდგმულობს, ხოლო მუშათა კლასი უდიერათ გაყვლეფილია და ყოველივე უფლებას მოკლებულია. ამიტომაც არის თვით კომუნისტური პარტიები ირღვევიან და მათი წრიდან მუშები ათასობით გარბიან. საფრანგეთსა, გერმანიასა, ჩეხოსლოვაკიასა და შვეციაში, სწორეთ იმ ქვეყნებში, სადაც კომუნისტური მოძრაობა საკმაოთ ძლიერი იყო, ყველგან ოპოზიცია გაძლიერდა და დამოუკიდებელ პარტიებათ ჩამოყალიბდა. სტალინის კარნახს კომინტერნის გზით ევროპაში თვით კომუნისტებიც ვერ ურიგდებიან და ამ ჭაობიდან გარბიან. და აი ყოველი მხრივ ბოლშევიზმი სუსტდება. მისი საერთაშორისო გავლენა კლებულობს და პრესტიჟი დღითი დღე ეცემა. ამჟამათ საბჭოთა კავშირის მუქარას—მსოფლიო რევოლიუციას გამოვიწვევთო—არა თუ ევროპა, დაუძლურებული ჩინეთიც კი ანგარიშს არ უწევს. ამიტომ იყო მან რუსეთის აგენტები მანჯურიიდან განდევნა და აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა მიისაკუთრა.

ასეთია საბჭოთა კავშირის საერთო სურათი. ბოლშევიზმის დამაგრებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. მისი დაცემა აუცილებელი შეიქნა.

აი ამ გარემოებიდან გამოდის საქართველოს სოციალდემოკრატია და მთელი თავისი ენერგიით და გატაცებით, ხანგრძლივ ბრძოლაში გამოწრთობილი გაშლილი დროშით მსხვერპლთა დაუზოგავათ განაგრძობს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას მტრის წინაამდეგ. დამხობა დიქტატურისა და რეაქციისა ჩაგრულ კლასთა და ერთა რევოლიუციონური ამოძრავებით და გაბატონება დემოკრატიის, მოსპობა რუსეთის ბატონობისა და საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკის აღდგენა, ბოლშევიკურ იდეოლოგიის გაკოტრების სააშკარაოზე გამოფენა და სოციალისტურ დროშის აფრიალება—აი რას ველტვით ჩვენ.

საქართველოს სოციალდემოკრატიას ვერ შეაშინებს დროებითი წაფორხილება. მას განუცდია არა ერთი და ორი დამარცხება, მაგრამ მას უგემია მრავალი გამარჯვება და ძლევამოსილ მტერთა განადგურება.

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ იმ თავდადებულსა და შეუპოვარ ბრძოლაში, რომლის მეთაურია ჩვენი პარტია, არა ერთი და ორი პირი ჩამოგვშორდება, არა ერთი და ორი მოკავშირე გამოგვეთიშება და ომის ველიდან უკუ იქცევა. ეს არის ულმობელ ცხოვრების რკინის კანონი. წრე, რომელსაც რევოლიუციონური ბრძოლა არ განუცდია, პირველ დაბრკოლებისთანავე აქეთ-იქით იხედება, მას პანიკა იპყრობს და მებრძოლთა რაზმში არევდარევა შეაქვს. მაგრამ აღმართს დაღმართი მოსდევს, დაბრკოლება მებრძოლთა რაზმებს ახალ ენერგიას მატებს და ამაგრებს. ბრძოლა ხალხის ინტერესებისათვის, ამოძრავება სამართლიან საქმისთვის თავის გარშემო ახალ-ახალ რაზმებს იკრეფს და თავდადებულთა ლაშქარს აძლიერებს. ამიტომაც არის სოციალდემოკრატიის ძალაგავლენა საქართველოში ასე სწრაფათ იზრდება.

ჩვენი პარტია წინანდებურათ სდგას ხალხის სადარაჯოზე და მას შეუპოვარი ბრძოლისაკენ მოუხმობს.

«ბრძოლის ხმა» ამ ბრძოლის შეძლებისდაგვარათ გაშუქებას ემსახურება.

ქართული რეაქცია

რუსეთის დიდი რევოლიუცია სრულიად მოულოდნელი იყო გაბატონებული კლასებისათვის. მაგრამ რაკი ეს მეხი გავარდა, მათ გადაწყვიტეს ქარიშხალისაგან დროებით თავის შეფარება განზე განდგომით ან და ტალღებისათვის გაყოლით. რუსის დემოკრატიის დამარცხება ბოლშევიზმით იწყება სამოქალაქო ომი, ანტირევოლიუციური კლასების შეჯგუფება და თავის ინტერესებისათვის იარაღით ბრძოლა.

საქართველოში კი პირიქით, დემოკრატიის გამარჯვებამ ბოლშევიკურ სტიქიაზე აიძულა გაბატონებული კლასები შერიგებოდა მომხდარ ფაქტს ხმალი ქარქაშში ჩაეგო და დემოკრატიული გზით მოეძებნა თავისი ალაგი და თავისი საკვები. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავდა ახალი მდგომარეობისათვის საბოლოოთ შერიგებას და ძველი კაი დროის აღდგენის ცდაზე საბოლოოთ ხელის აღებას. არა, ეს იყო იძულებითი შერიგება, შესაფერი მომენტის მოახლოვებამდე. და აი ეს მომენტიც დადგა. ქართულ დამარცხებულ ბოლშევიზმმა მოიწვია მოსკოვის ჯარი. დაამარცხა ქართველი დემოკრატია და გაუშალა ოცნების ფრთები ძველი აღთქმის მოტრფიალეთ.

ქართულ ემიგრაციაში იწყება ბრძოლა. პირველი თავდასხმა მოახდინა ბ. ზ. ავალიშვილმა თავის რუსულ წიგნში «დამოუკიდებელი საქართველო», სადაც გადაჭრით გამოაცხადა—აგრარულ რეფორმამ დაღუპა საქართველოვო. შემდეგ ასპარეზზე გამოიყვანეს ფრანგი დიუგე და ეს აზრი მას თავის ცნობილი წიგნის საფუძვლად დაადებიეს. შემდეგ არ იკმარეს რუსულ და ფრანგულ ენაზე პროპაგანდით და ერთი «დანოსი» ინგლისურათაც შეთხზეს. იმავე ავალიშვილმა დაბეჭდა ინგლისურ ჟურნალში წერილი, სადაც კატეგორიულათ აცხადებს, რომ საქართველოს მენშევიკური მთავრობა არაფრით განსხვავდებოდა ბოლშევიკებისაგან. მან გაცარცვა მემამულენი დამით ძირი გამოუთხარა ქვეყნის დამოუკიდებლობასო! ეს იყო აშკარა დაბეზღება ჩვენი ნაც. მთავრობის ინგლისელებთან. და რომ ეს სრულიად შეგნებულათ მოიმოქმედა ავტორმა სჩანს იქიდან, რომ საგანგებოთ დამალა მთავარი ამბავი—ამ მთავრობის წარმოშობის წყარო—დამფუძნებელი კრება, დემოკრატიული არჩევნები, რაც ამ მთავრობის ბოლშევიკობას ერთიანათ ამსხვრევდა და უცხო მკითხველთ ნამდვილ მდგომარეობას ურკვევდა. ქართული რეაქციის იდეოლოგია ჩამოყალიბდა.

ამ რეაქციას დაუპირდაპირდა ქართველი დემოკრატია ერთ ფრონტათ დაწყობილი და ნაც. მთავრობის ირგვლივ თავმოყრილი. მაგრამ ვინაიდან ამ ფრონტში შემავალნი ზოგი წრეები იყვნენ ნაუცფათევი დემოკრატები, შემთხვევის ფრონტელები, ამიტომ დაიწყო მათ შორის რყევა, ქანაობა რეაქციას და დემოკრატიას შორის. იწყება მერყევი ელემენტების თანდათანი ჩამოშორება დემოკრატიული პლატფორმიდან და გადაბარგება მარჯვნივ, არისტოკრატიისაკენ. ორი ბანაკის არსებობა ფაქტია, ერთი მხრით დემოკრატია, მეორე მხრით რეაქცია. ამათ შორის თუ კიდევ ვინმე იბნევა, იძულებული გახდება თავის თავი შეიგნოს და ერთ-ერთ მხარეს მიეკედლოს.

რა განსხვავებაა ამ ორ ბანაკს შორის? მრავალი, რომელთა შორის ერთია მთავარი, სათავე ყველა დანარჩენი განსხვავების. დემოკრატია დგას დემოკრატიული რევოლიუციის ნიადაგზე, საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე და ცდილობს აღადგინოს დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველო. რეაქცია არ ცნობს დემოკრატიულ რევოლიუციას, დემოკრატიულ საქართველოს და ცდილობს ძველი კაი დროს შემოაბრუნოს. მარა ვინაიდან ეს დემოკრატიული გზით საქართველოს ფარგლებში შეუძლებელია, ამიტომ ანტიდემოკრატიული საშუალება, რაიმე შემთხვევით თუ გარეშე დახმარებით ძალა-უფლების დაპატრონება და ხალხის დაუკითხავათ მის ბატონათ მოვლინება—აი მათი ტაქტიკური გზა და ხიდი. ისინი შინაურ დავას სწყვეტენ არა დემოკრატიულათ, ხალხის სუვერენობის საშუალებით, არამედ დიქტატორულათ, მილიტარისტულათ, ძალადობით. ისინი სამოქალაქო ომის მოციქულნია: ხოლო სამოქალაქო ომი საქართველოში ნიშნავს მისი დამოუკიდებლობის დაღუპვას.

ქართული რეაქცია ამ ჟამათ დიდ მუშაობაშია. მისი თავშესაყრელი ლოზუნგია—ძირს სოციალდემოკრატია! ისინი ჩაბმულია ბრძოლაში არა ქვეყნის მტრებთან, არა ბოლშევიზმთან, არამედ ქვეყნის დამცველებთან, საბჭოთა შეურიგებელ მტრებთან, ჩვენ პარტიასთან. ისინი მტრის საქმეს ორივე ხელით აკეთებენ. მათი ანგარიში მეტათ მარტივია: მათ დიდი სურვილი აქვთ ბოლშევიზმის მემკვიდრეობის, მარა რით? ჩვენთან ბრძოლით, ჩვენთვის ხელის შეშლით, ბოლშევიზმის გამაგრებით. ამ ბანაკს ემხრობა, რასაკვირველია, რუსოფილებიც, რომელნიც ნატრობენ ძველებურ გენერალ-გუბერნატორს და ნამესტნიკს «თავაგდებულ ხალხის» მოსაჭკუიანებლათ. აქ შემოდიან თურქოფილები, მეზობლების ჩვენ წინაალმდეგ წამქეზებელნი, ქართველი ხალხის შინაურ საქმეში არა ქართველთა ჩარევის მაძიებელნი. აქ რთული მახე იგება, აქ დამხრჩობი ფონი ითხრება.

ისინი იძახიან—სოციალდემოკრატიამ დააქცია საქართველო, დაუბრუნდეთ ილია ჭავჭავაძესო. ერთი გვითხრან, რომელ ილია ჭავჭავაძეს? პოეტ ილიას? დასაბრუნებელი არაფერი გვჭირს, ვინაიდან არასოდეს ზურგი არ გვიქცევია. პირიქით, პოეტი ილია, მესამოცე წლების ილია იყო და არის დემოკრატიის მომღერალი, ხალხის ინტერესების დამცველი და მებაირაღე. ცხადია ამ ილიაზე ისინი არ ლაპარაკობენ, თვარა სოც.-დემოკრატიას მას არ დაუპირდაპირებდენ. უეჭველია აქ ლაპარაკია მეორე ილიაზე, მეოთხმოცე და მეოთხმოცდაათე წლების მოღვაწეზე, «ივერიის» ხელმძღვანელზე, თავად-აზნაურობის ბელადზე და იდეოლოგზე. აი ეს ილია დიახაც ეპირდაპირება სოციალდემოკრატიას და სწორეთ ამიტომ მათ ასე მაგრათ ჩაფრენიან ჩვენი რეაქციონერები. და აი აქ სოც.-დემოკრატიამ მართლა დააქცია «საქართველო», მარა საქართველო «ივერიის», თავად-აზნაურული იდეოლოგიის, მეოთხმოცე წლების ილია ჭავჭავაძის. ამ ბრძოლიდან იშვა ქართველი დემოკრატია, ახალი საქართველო, თანამედროვე ქართველი ერი, ერი მთლიანი და გაგებული. ქართველმა სოციალდემოკრატიამ, ამ ერის ხორცი-ხორცთაგანმა, შეასწავლა მას პოლიტიკური ანბანი, გამოჭედა მისგან სახალხო ორგანიზაციები, მისცა მასიური დისციპლინა, გამოიყვანა ბრძოლის ველზე, იგემა მასთან ერთათ მრავალი გამარჯვება და დამარცხება, მოიხარშა ორივე ერთათ ერთ ნაციონალურ ქვაბში, უხელმძღვანელა ყველა საჭირბოროტო მომენტებში, უწინამძღვრა პოლიტიკურ, სოციალურ, ნაციონალ აღორძინებაში, გამოიყვანა კაცობრიობის შარაგზაზე, ჩააბა მსოფლიო ფერხულში, მასზე აალაპარაკა, დასავლეთი, განაგრძობს დღესაც შინ და გარეთ მისი უფლების დაცვას, მისთვის თავის დადებას . . . ყველა ეს მოვსპოთ, ახალი საქართველო უარვყოთ და დაუბრუნდეთ მეოთხმოცე წლების არარაობას? ტყუილათ გარჯილხართ, ქართველ ხალხს იქით საძებარი არაფერი აქვს, მისი გზა ნათელია, მისი მისამართი თანამედროვე დემოკრატიაა. მხოლოდ რეაქციამ ნიღაბი ჩამოიხადა, თავის კლასიური ინტერესები ნაციონალურ ზემაღლა დააყენა. მიეცით მას თავადური საქართველო, მემამულეთა ბატონობა და ნეტარხსენებული პრისტავობა! თავს ნუ იწუხებენ, კვდარის აღდგენა შეუძლებელია.

მდგომარეობა ნათელია. ორში ერთი: ბოლშევიზმის დაცემას შევხდებით ან ისე ერთსულოვანათ და მწყობრათ, როგორათაც შევხდით ცარიზმის დაცემას ან და ერთმანერთს დავერევით და ჩვენ თავისუფლებას ჩვენვე დავასამარებთ. ვინც პირველის მსურველია, ის მიემხრობა ქართველ დემოკრატიას, ამ დემოკრატიის საერთო ფრონტს და მის მთავრობას; ვინც მეორეს ეძებს, ის მიემხრობა რეაქციას, ავალიშვილს, კედიას, ასათიანს და მათ კამპანიას...

ჩვენი დღესასწაული

გასულ ოქტომბერში კარლ კაუცკის 75 წელიწადი შესრულდა.

ყველა სოციალისტური პარტიები წრფელი სიყვარულით და ღრმა პატივისცემით მიესალმენ უხუცეს და უდიდეს მასწავლებლის დღესასწაულს.

მსოფლიო სოციალიზმის ამ სასიხარულო დღესასწაულში ჩვენს პარტიასაც აქვს თავისი წილი და ადგილი. გარდა იმისა, რომ ყოველი ქართველი სოციალდემოკრატი კაუცკის ნაწარმოებებზე აღზრდილია, მისი სახელი სამარადისოთ ჩაქსოვილია ქართული სოციალიზმის და ქართველი ერის ისტორიის საუკეთესო ფურცელზე. კაუცკი გვესტუმრა ჩვენ საქართველოში დამოუკიდებლობის ხანის მიწურულში. ქართველი მშრომელი ხალხი, მთელი ერი ფაქიზი სიყვარულით და მოკრძალებით მიეგება კარლ მარქსის გონებრივ მემკვიდრეს. ჩვენთვის საამაყოთ დარჩება, რომ იმ ხანაში დროებით იდეურათ განმარტოებულმა და რამოდენიმეთ დანაღვლიანებულმა მასწავლებელმა საქართველოში—წრფელი, მადლიერი სიყვარულის ატმოსფერაში—მოიპოვა სულის სიმშვიდე და დასვენება, რაც მას არა ერთხელ აღუნიშნავს (თავის ავტობიოგრაფიაში და ქართველ ამხანაგებთან საუბარში).

ძვირფასმა სტუმარმა ერთი-ორად მოგვიზღო გულის სითბო და სულიერი ნათესაობის გრძნობა. უკანასკნელი წლების თაობა არც კი იცნობს იმ პატარა წიგნაკს—წერილს ქართველ ამხანაგებისადმი, რომელიც საქართველოში ყოფნის დროს დასწერა და დაბეჭდა ქართული მარქსიზმის იდეურმა ბელადმა. წიგნაკის გერმანული ხელთნაწერი მეთერთმეტე არმიის «ოსობი ოტდელ»-ში მოხვდა, ხოლო დასტამბულმა ქართულმა თარგმანმა მიაშურა თავისუფალი აზრის იმ თავშესაფარს, რომელსაც მეფის დროის რუსული ჟარგონით «პოდპოლიე» ეწოდება. წიგნაკი შეიცავდა ბრძნულ რჩევებს მმართველი დემოკრატიისათვის პოლიტიკის სხვადასხვა სფეროებში სახელმძღვანელოთ. «ზომიერება ამკობს ხელოსანს»-ო, გვასწავლიდა კაუცკი და გვაფრთხილებდა არ ავყოლოდით უტოპიურ მისწრაფებებს, არ გადავცდენოდით ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ სინამდვილის ზომას.

ევროპაში დაბრუნებისას მან გამოსცა ცნობილი წიგნი: «საქართველო, გლეხთა სოციალდემოკრატიული რესპუბლიკა». ქართველი მკითხველი განცვიფრებას ეძლევა—როგორ შესძლო ავტორმა რამოდენიმე თვის განმავლობაში ჩვენი პირობების ასე საფუძვლიანათ და ასე დაკვირვებით შეთვისება. ეს არის საუკეთესო ნაწარმოები რაც დაწერილა ევროპაში თანამედროვე საქართველოზე. მაგრამ მისი ღირებულება მარტო საქართველოს საკითხით არ განისაზღვრება: ჩვენმა პრობლემამ, საქართველოში სოციალისტურ დემოკრატიის გაბატონებამ და მისმა პოლიტიკამ საშუალება მისცა კაუცკის ნათლათ გაერკვია საზოგადო და საჭირბოროტო საკითხი: ეკონომიურათ ჩამორჩენილ ქვეყანაში სოციალისტური ხელისუფლების შესაძლებლობისა და მისი დადებითი როლისა. სამწუხაროთ წიგნი გამოვიდა სწორედ

დამოუკიდებელ საქართველოს დაცემის დღეებში, ასე რომ ქართველ მკითხველთა მასისათვის ის უცნობი დარჩა.

კაუცკი დაენათესავა საქართველოს არა მარტო იდეურათ, არამედ პიროვნულათ, მთელი თვისი ღრმა და ერთგული გრძნობით. საბედნიეროთ ქართველ ხალხს მისი გაჭირვების დღეებში ბევრი მეგობარი აღმოაჩნდა ევროპაში; კაუცკის მათ შორის პირველი ადგილი უჭირავს. რა დიდ შრომაშიც არ იყოს ჩაბმული, ის დროს არ იშურებს და არ იზარებს თავისი ბრძნული და მჭრელი კალმის ხელში აღებას ქართველი ერის შემაგინებელის წინააღმდეგ. ამ რამოდენიმე კვირის წინათ მისი მეუღლე, ლუიზა—ისიც დაუღალავი ქომაგი ქართული საქმისა—სწერდა ერთ-ერთ ჩვენს ამხმნაგს: «ის (კ ა რ ლ კ ა უ ც კ ი) კვლავ თავის მოვალეობათ მიიჩნევს დაეხმაროს ჩვენს ძვირფას ქართველ ამხანაგებს, შეეცადოს შეუმსუბუქოს მათ მწარე ბედი, და ეს მისთვის მუდამ გ უ ლ ი ს მოთხოვნილება იქნება».

—

როგორც ვთქვით, სწორედ საქართველოში გამგზავრების ხანაში, კაუცკი თავს გარიყულათ გრძნობდა ევროპის სოციალისტურ წრეებში. ეს იყო დრო, როცა ევროპის თითქმის ყველა სოციალისტურ პარტიაში თავი იჩინა განუსჯელმა, მისტიურმა გატაცებამ ბოლშევიკური «რევოლიუციით»; დემოკრატიული სოციალიზმი თითქოს ლამობდა თავის ნაცად კალაპოტიდან ამოვარდნას და რუსულ ქაოსში გათქვეფას. მან კი, მარქსის კანონიერმა მემკვიდრემ, თავიდანვე უყოყმანოთ მუშათა კლასის და სოციალიზმის უსაშინელეს მტრად გამოაცხადა «თათრული სოციალიზმი».

ათმა წელმა განვლო მას შემდეგ. და აი კაუცკის ბედმა არგუნა იშვიათი და უმაღლესი დაკმაყოფილება: მსოფლიო მუშათა მოძრაობა დაუბრუნდა დემოკრატიულ გზას, დაუბრუნდა კარლ კაუცკის. მისი 75 წლის თავი მთელმა ინტერნაციონალმა გადაიხადა, როგორც თ ა ვ ი ს ი მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ლ ი ს დღესასწაული. ეს მით უფრო სასიხარულოა მარქსიზმის მხცოვანი ბელადისათვის, რომ «თათრულ» ილიუზიებისაგან განკურნებული სოციალიზმი ევროპის მრავალ დიდსა და პატარა ქვეყნებში დღეს უდიდეს შემომქმედ ძალას წარმოადგენს. მუშათა პარტია განაგებს ბრიტანეთის ვეებერთელა იმპერიას. სოციალისტური პარტია არის მთავარი მმართველი ძალა გერმანიაში და დღეს თუ-არა ხვალ აიღებს მმართველის როლს საფრანგეთშიაც.

მიუხედავათ ღრმა მოხუცებისა, კ. კაუცკიმ შეინარჩუნა ფიზიკური მხნეობა და ჯანი, ხოლო მისი აზრის ძალა, სინათლე და სიღრმე უცვლელი რჩება.

ჩვენი უდიდესი სურვილია, რომ მას აუსრულდეს მისი ოცნება, რომელიც არა ერთხელ გაუზიარებია ჩვენთვის: თავისუფალ საქართველოს ხილვა.

ულრმესი სიყვარულით და პატივისცემით ვულოცავთ ჩვენს სახელოვან მასწავლებელს დღესასწაულს და ვუსურვებთ მას ჯანსა და მხნეობას მრავალ, მრავალ-ჟამიერ.

კ. კაუცკის დღესასწაული

საერთაშორისო სოციალიზმის ბელადს კ. კაუცკის დაბადებიდან 75 წლის შესრულების გამო გაეგზავნა შემდეგი დეპეშა:

«ვ ე ნ ა. კ ა უ ც კ ი ს.

მოულოცავთ დაბადებიდან 75 წლის დღესასწაულს ჩვენი პარტიის საყვარელ მასწავლებელს და ჩვენი ქვეყნის ერთგულ მეგობარს. სალამი თქვენს თავდადებულ თანამგზავრს ლუიზას. გისურვებთ დიდი ხნით სიცოცხლეს.

ჟ ო რ დ ა ნ ი ა. შ ა რ ა შ ი ძ ე».

—

კარლ კაუცკიმ გაზეთ «ფორვერტს»-ში მოათავსა წერილი, სადაც მადლობას უცხადებს იმ მრავალ ამხანაგებს, რომელნიც საგაზეთო წერილებსა და წიგნებში, აგრეთვე დეპეშებით მიესალმენ და მისი მოღვაწეობა აღნუსხეს. უადგილობის გამო ამ წერილის დაბეჭდვა ჩვენს გაზეთში აღარ მოხერხდა.

მიუხედავათ ამისა ზოგიერთ ახლობელ ამხანაგსა და მეგობარს კ. კაუცკიმ მადლობა განსაკუთრებულ წერილით გადაუხადა. სწორეთ ასეთი წერილი 21 ოქტომბრის თარიღით ნოე ჟორდანიამ მიიღო. მოგვყავს ის სავსებით.

«იმ ამხანაგებს, რომელთაც კეთილ ინებეს და ჩემი დაბადებიდან 75 წლის შესრულების გამო თანაგრძნობა მომიძღვნეს, მადლობა პრესაში გადაუხადე. მათი რიცხვი იმდენათ დიდი იყო, რომ სხვანაირათ მადლობის გადახდა მე არ შემეძლო. მაგრამ იმ პირთა შორის, რომელნიც მომესალმენ, არიან ისეთები, რომელნიც ჩემთან ისე ახლო დგანან, რომ მე არ შემეძლო არ მეგრძნო ღრმა საჭიროება მათთვის განსაკუთრებული მადლობა მეთქვა.

ამ შემთხვევაშიც მე იმ დაბრკოლებას წავაწყდი, რასაც ფრანგები უწოდებენ «დაბრკოლებას სიმდიდრის». უმთავრესათ ასეთია ბედი ხანშესულობით გამოწვეულ განკერძოებისა, რომელიც თანდათან ვითარდება: ძველი მეგობრები კვდებიან, ხოლო ახალთ ვეღარ იძენენ. აგრეთვე მეც განვიცადე ის მწარე ბედი, რომ ჩემი თაობის თითქმის ყველა მეგობარი გამომეცალა, რომელთა შორის იყვენ ისეთებიც, რომლითაც საერთაშორისო სოციალიზმი სამართლიანათ ამაყობდა. სამაგიეროთ მე შემიძლია აღვნუსხო იშვიათი შეძენა—ახალ თაობის წარმომადგენელთა შორის მრავალ ახალ მეგობრის შეძენა, რომელთა შორის აგრეთვე იმყოფებიან საერთაშორისო სოციალიზმის საამაყო პიროვნებანი, მათი რაოდენობა მატულობს იმისდამიხედვით, თუ როგორ იზრდება რიცხვი იმ პირთა, რომელნიც სოციალისტურ იდეებს აღიარებენ, ხოლო განსაკუთრებით —მარქსისტულათ მოაზროვნეთა.

აქაც მე საბედნიერო გაჭირვებას განვიცდი, ვინაიდან თვით მახლობელ მეგობართა რიცხვი იმდენათ დიდია, რომ ჩემთვის ფიზიკურათ შეუძლებელია თითოეულ მათგანს საკუთარ ხელით დაწერილი მადლობა მივუძღვნა ისე, რომ ამით ჩემი სამწერლო მუშაობა საგრძნობლათ არ შეფერხდეს.

მიმდინარე რაციონალიზაციის ხანის სულს შეეფერება, რომ წერილი, რომელშიაც თვითეულს იგივე უნდა უთხრა, ასობით ხელით არ გადავწერო, არამედ გავამრავლო ბეჭდვით. ქვეშ ჩემი ხელისმოწერა მას აძლევს პირად ხასიათს და ამტკიცებს, რომ მე მისმა წერილმა განსაკუთრებით გამახარა და განაახლა პირველი ურთიერთობა, თუმცა მოსალოდნელია უდროობას შეეძლო ის დროებით მიეძინებია.

თავისთავად იგულისხმება, რომ მადლობა და სიყვარული, რასაც მივუძღვნი პირს, რომელსაც ბარათი ეგზავნება, არა ნაკლებ გულითადია, ვინემ ეს იქნებოდა იმ შემთხვევაში, რომ ბარათი საკუთარი ხელით დამეწერა.

ერთხელ კიდევ საუკეთესო მადლობა და სალამი

კ ა რ ლ კ ა უ ც კ ი».

ე რ თ ბ ა ნ ა კ შ ი

«სამშობლოს» ბანაკში დიდი ხმაურობაა; აქ თავი მოუყრია ნაც.-დემ. მორიგ ჯგუფს, საერთო ფრონტიდან გასულთა მეორე სერიას და დიდი სურვილებით შეკაზმულნი ბრძოლის ველზე დამწკვრივებულან. პირველი ასეთივე სერია გადგა ამ ოთხი წლის წინეთ სპ. კედიას მეთაურობით, გამოსცენ ჟურნალი «სამშობლოსათვის» და დაგვიშინეს ყუმბარები. ამ თავხედობისათვის ეს ჯგუფი იქნა დაგმობილი და თვით კედია პარტიიდან გარიცხული სწორეთ იმათ მიერ, ვინც დღეს კედიას გზას გაჰყვა. ორივე შემთხვევაში მეორდება ერთი და იგივე ამბავი, ერთი და იგივე ტრაფარეტით—ნაც. ცენტრის მოულოდნელათ დატოვება ერთი პირის მიერ, რისთვის არავინ უწყის და მედიდურათ განზე დადგომა თავისი ამალით, ერთი და იგივე დეკლარაციით, ერთის მეორეზე წასიანებით, ერთნაირი საყვედურით და კინკლაობით—ერთი სიტყვით ჩვეულებრივი სპექტაკლით. სწორედ მოსაწყენი ამბავია, შ. ამირეჯიბის არგუმენტებს თუ არა ფანტაზიას მაინც კი უქებდენ. «სამშობლოს» აზრები წავიკითხავს «სამშობლოსათვის»-ში; სპ. კედიამ გაიმარჯვა, მის მიერ აფრიალებული დროშა ასე საჯაროთ უარყოფილი ამირეჯიბ-გაბაშვილის მიერ დღეს მათ დროშათ გამოცხადდა; ეს დროშა რომ რაღაც სახარბიელო იყოს, კიდევ ადვილი გასაგებია ეს წაჯეჭ-უჯუჯქობა, მაგრამ მასში არაფერი ყრია გარდა დიდი სურვილებისა და გაჯავრებისა. რასაც დღეს ამირეჯიბი ასე მოგვიანებით ამბობს, დიდი ხანია მისმა ლიდერმა თქვა და გაათავა. ალბათ დაინახა, სადაც არა სჯობს გაცლა სჯობსო. ახლა იმავე ამბავს იწყებენ მისი დამგმობელნი.

ამ ხალხს არ ასვენებს ერთი აკვიატებული აზრი —«საქართველოს დამოუკიდებლობა წაავო ერთმა პარტიამო». აქედან მათი დიდი მადა—ჩვენ უნდა ამოვიგოთ და ქვეყანას სათავეში მოვექცეთო. სურვილი ჩინებულია, მარა საქმე? აი აქ კი ნურას უკაცრავათ, მათ «საქმეში» ჩვენი გინების მეტი არაფერი ყრია. ასეთი საგზლით ქართველი ხალხის წინაშე წამდგარი ემიგრანტები მომკიან მხოლოდ იმას, რასაც თესვენ. საქართველოში კარგათ იციან, რომ ჟორდანია-რამიშვილის ლანძღვა მათ ვერას უშველის. ამ ფუქსავატობას კიდევ თქვენი პირი წაუღია, რომ რაიმე სად პოლიტიკურ დებულებას მაინც იძლეოდენ. ეს მართველი პარტიის და ერის დაპირდაპირება ამირეჯიბს არ გამოუგონია, ეს აღმოჩენა ეკუთვნის სპ. კედიას და ჩვენი მაშინდელი პასუხიც «სამშობლოს» ლაშქარზეა ზედგამოჭრილი. აი რას ვწერდით მაშინ:

«ბ. კედია იმეორებს თავის ძველ დებულებას— პარტიული დროშა ეპირისპირება ეროვნულ დროშასო, ნამდვილათ კი პარტიული დროშა ერის და მისი შემადგენელი ნაწილების დროშაა. მიმოიხედოს ავტორმა ევროპაში და ყოველგან დაინახავს ამავე მოვლენას. ინგლისში ბალდვინის კაბინეტი პარტიულია, მაგრამ ჯერ არავის უთქვამს ის არ იყოს ინგლისის დროშა... ერი დემოკრატიული გზით ანდობს თავის საქმეს ხან ერთ, ხან მეორე პარტიას. ყოველ ასეთ შემთხვევაში გაბატონებული პარტია არის ეროვნული პარტია, ერის ინტერესების ოფიციალური წარმომადგენელი და დამცველი» და სხ. («ბრძოლა № 1, ივლისი 1925 წ.).

პოლიტიკურ მოღვაწეთ კი მოეთხოვება ამ ანბანის გაკვეთა და ერთხელ და სამუდამოთ დამახსოვრება, რომ მართველი პარტიის მოგება თუ წაგება არის ერის მოგება თუ წაგება. მაკდონალდის კაბინეტს მთელი ინგლისი ზურგს უმაგრებს საგარეო საქმეებში, თვით კონსერვატორებიც. ამაღლდით, ბატონებო, ცოტაოდნავ, ევროპიელობა არ გაწყენთ.

ჩვენი კრიტიკოსები გვისაყვედურებენ, რომ, «საქართველოში რუსული თებერვლის რევოლიუციის ლოზუნგის განხორციელებას შეუდგენო». როგორ რუსული? თავისუფლება და თანასწორობა რუსული ლოზუნგია თუ ევროპიული!

ჩვენი კონსტიტუცია აღმოსავლეთისაა თუ დასავლეთის? ლოზუნგი იზომება არა გეოგრაფიული ცნებით, არამედ შინაარსით. თებერვალში მოხდა რუსეთში ის, რაც დიდი ხნის წინეთ მოხდა ევროპაში, ეს იყო ევროპიული რევოლიუცია. წმინდა რუსული რევოლიუცია—ეს ოქტომბერია, ეს ბოლშევიზმია: და თუ ეს ევროპიული რევოლიუცია, რომელიც ჩვენ შევინარჩუნეთ და ცხოვრებაში გავატარეთ, დღეს არ მოსწონთ—მიზეზი ცხადია, რეაქციას არსად არ მოსწონს რევოლიუცია.

«სამშობლოს» მწერლები ახლა თავს ესხმიან დემოკრატიული საქართველოს რეფორმებს, რაიცა თურმე «ქართველი ერის და მისი დამოუკიდებლობის დასაწყისისათვის მხოლოდ საზიანო იყო» («სამშობლო» № 1, გვ. 29).

ოღონდაც, მათ სიხარულს საზღვარი არ ექნებოდა, რომ ჩვენში არც აგრარიული რეფორმა ყოფილიყო, არც მუშათა მფარველობა, არც თავისუფლება, არც ხალხის სუვერენიტეტი—არაფერი ევროპიული. მხოლოდ მათ ავიწყდებათ ერთი რამ—ასეთ საქართველოში ბოლშევიზმი შემოჭრილიყო [illegible] დაერთში, არამედ ჩვიდმეტშივე. [illegible] ლაშქარი—გოლოვინის პროსპექტის ჩოხოსნები— რუსის გაბოლშევიკებულ ჯარებს ვერ შეაჩერებდენ ვერც თფილისის ყაზარმებში, ვერც მეცხრამეტე ვერსტზე.

ამირეჯიბი განაგრძობს მომიზეზებას. «მთავრობამ ვერც ერთი რიგიანი ხელშეკრულობა ვერ დასდო კავკასიის ერებთან და სხვა სახელმწიფოებთან, მაგრამ უხეირო ომი თითქმის ყველასთან აწარმოვა». ჩივის ის.

კავკასიის რომელ ერთან ვაწარმოვეთ ომი? მთიელებთან? აზერბეიჯანელებთან? ერთათ-ერთი ომი გვქონდა სომხებთან, მარა ეს ჩვენ დავიწყეთ? ჩვენ დავესხით მათ, თუ ისინი ჩვენ თავს დაგვესხენ? მთავარი ხელშეკრულობა, რაზედაც დღეს ვემყარებით, ვინ შეკრა რუსეთთან თუ არა მთავრობამ? ქართველმა არისტოკრატიამ საქართველო რუსეთს გადასცა, ქართველმა დემოკრატიამ საქართველო რუსეთს ჩამოართვა—ამას ვერაგზით ვერ ამოაგდებთ ისტორიიდან. ან და საქართველოს იურიდიულათ ცნობა ევროპის სახელმწიფოთა მიერ—რა არის ეს თუ არა დიდი გამარჯვება საერთაშორისო ასპარეზზე. საქართველო პირველათ დემოკრატიამ გამოიყვანა ევროპის შარა გზაზე.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ. «სამშობლოს» ლაშქარნი მიზეზს ეძებენ და თავს ირცხვენენ. ჯერ ფრონტიდან გარბიან და შემდეგ ამის საბუთებს იგონებენ. ასე მოიმოქმედა სპ. კედიამ, ასე მოქმედობენ გაბაშვილი-ამირეჯიბი. მოლა მასრადინას მეზობელმა თოკი სთხოვა, მან უარი უთხრა, პური მიყრია ზედო. მეზობელმა გაიკვირა, პურის თოკზე დაყრა როგორ შეიძლებაო. მოლამ უპასუხა: მე შენთვის თოკის მოცემა არ მინდა, ხოლო მიზეზს რასაც დავასახელებ რა შენი საქმეაო. «სამშობლოს» ხალხს ჩვენი ფრონტი არ უნდა, ავალიშვილის ფრონტში ურჩევნია, ხოლო მიზეზს კი მოლამასრადინისებურს ასახელებენ. დროა გამოტყდეთ აშკარათ და პირდაპირ, რომ თქვენ არ გსურთ დემოკრატიული ფრონტი, დემოკრატიული საქართველო და ეტრფით პოლიტიკურ, სოციალურ და აგრარულ რეაქციას.

კ ა რ თ ა გ ე ნ ი ი ნ გ რ ე ვ ა

ერთ დროს კომპარტია მტკიცე და ერთსულოვან პარტიათ ითვლებოდა. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდენ კომუნისტები და მისი მიმდევარნი. მაგრამ დრონი იცვლენ. ლენინიზმი ისტორიას ჩაბარდა და მისი ადგილი სტალინიზმის ხეპრულმა პოლიტიკამ დაიჭირა.

შეირყა «მონოლიტური» პარტია და ერთ დილას მის ჭირისუფალთ ის ხუთად გაბზარული სახით წარუდგა. ზოგს ეს სიმბოლიურ მოვლენათ მოეჩვენა.— ალბათ საბჭოთა ხუთ წვერიან ვარსკვლავის ხუთი სხივიაო. მარა დახეთ უბედურებას! ეს ხუთი ნაპობი, თურმე, პარტიის შიგნით დაფარული ღრმა პოლიტიკური და სოციალური ჭრილობა ყოფილა. ამ თითეულ ნაპრალიდან სულის შემხუთავი სიმყრალე ამოდიოდა. მისი ოხშივარის ძალა განსაცვიფრებელი გამოდგა. ზოგს ის ათრობდა და გაუსწორებელ ლოთად ხდიდა; ზოგს ეკუიდან შლიდა და ტყვიით შუბლს აჩვრეტინებდა; ზოგსაც ქირურგიულ მაგიდაზე დანის ქვეშ სულს ართმევდა; ზოგს კიდევ ცივი ციმბირის მშვენიერ წიაღში სასეირნოდ აგზავნიდა. ტროცკი «ბურჟუაზიულ» ნასუფრალს მოუსკუპდა; საზღვარგარეთ საელჩოებში «ფიზკულტურას» შეუდგენ და ღობეზე ხტომა საბჭოთა დიპლომატებმა ხელობათ გაიხადეს.

ასე გათავდა სიზმარი პარტიის «მონოლიტობისა» და მისი ლენინური უტეხობისა.

სტალინიზმი გამეფდა. სტალინის სიტყვა და სურვილი კანონად გადაიქცა. ყველა მისი მორჩილი და გამგონე გახდა. მაგრამ სტალინი ახირებული ბუნების კაცი გამოდგა. ნამეტანი მორჩილება მას მოსწყინდა.

ო მ ი ს ს ა ფ რ თ ხ ე ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ე ვ რ ო პ ა შ ი *)

I. რუსეთის საკითხი.

ომი არის სახელმწიფოთა შორის ამტყდარი დავის იარაღით გადაჭრა.

მსოფლიოში გაბატონებული კაპიტალისტური წყობილება იმდენათ დატვირთულია შინაგანი და საგარეო წინააღმდეგობებით, რომ ის ბუნებრივად წარმოშობს საერთაშორისო გაუთავებელ კონფლიქტებს, რომელთა გადასაჭრელათ მიმართავს ძალას. კაპიტალიზმი სულდგმულობს მილიტარიზმით, მილიტარიზმი სულდგმულობს კაპიტალიზმით.

ამ მსოფლიო ატმოსფერის კანონებს ემორჩილება აღმოსავლეთი ევროპაც. სადაც ომის და ზავის საკითხი წარმოადგენს ერთ შტოს ასეთსავე საერთო საკითხისას, მაგრამ ამ ფარგლის შიგნით არის დამახასიათებელი ხაზები, რომლითაც ისინი ერთი-მეორისაგან ნსხვავდებიან. დასავლეთი, როგორც სამრეწველო ქვეყანა, დატვირთულია უმთავრესად სამრეწველო კონფლიქტებით; ის მუშაობს ახალ-ახალი ბაზრების მოსაპოებლათ თავის საქონლის და ფინანსებისათვის, სავაჭრო-სამრეწველო და საფინანსო ექსპორტისათვის, ხოლო ტერიტორიალურ და ნაციონალურ ანექსიებს თანდათან უკანა საფეხურზე აყენებს.

აღმოსავლეთი ევროპა კი წარმოადგენს აგრარულ ქვეყანას— სასოფლო-სამეურნეო ექსტენსიურ ეკონომიკას; ის ცდილობს არა თავის ნაციონალურ ტერიტორიაზე ინტენსიური შრომით შექმნას სიმდიდრე და ის გაიტანოს გარეთ გასასაღებლათ, არამედ თავისი ნაციონალური ტერიტორია გაადიდოს, უცხო მიწა და ერი დაიმორჩილოს და თავისი არსებობის მთავარი წყარო, სასოფლო მეურნეობა, ექსტენსიურად გააფართოვოს. აქ საერთაშორისო კონფლიქტები უმთავრესად ტერიტორიალური ხასიათისაა.

დასავლეთში ბატონობს სამრეწველო იმპერიალიზმი, აღმოსავლეთში პოლიტიკური და ნაციონალისტური იმპერიალიზმი.

სამრეწველო ქვეყანაში მილიტარული ტენდენციების გვერდით იშლება და მძლავრდება პაციფიური ტენდენციები დემოკრატიული წყობილების საშვალებით. ზავის საქმე პოულობს საჯარო დამცველებს, განსაკუთრებით, შეკავშირებული პროლეტარიატის სახით.

აგრარული ქვეყანა კი მოკლებულია მთლათ ან ნაწილობრივ დემოკრატიას. მუშათა კლასის თავისუფალ მოძრაობას და იმყოფება განუკითხავ ტყვეობაში გაბატონებულ კლიკის თუ ჯგუფის, რომლის ქეიფზეა დამოკიდებული ომის და მშვიდობიანობის საქმე.

ამიტომ სრულიად არ ყოფილა შემთხვევითი ის, რომ დიდი ომის ნაპერწკალი პირველათ აღმოსავლეთიდან ამოვარდა და ეს უეჭველია უკანასკნელი ნაპერწკალი არ იქნება, თუ დროზედ არ იქნა ზომები მიღებული და მალამო მონახული.

მაშასადამე, დავა ტერიტორიალური ხასიათის შეადგენს მთავარ წყაროს მოსალოდნელი ომიანობისას აღმოსავლეთ ევროპაში.

რა ხასიათისაა ეს დავა?

აქ ერთი მხრით დგას ძველი რუსეთის იმპერია, ამ ჟამად საბჭოთა კავშირად ქცეული, და მეორე მხრით მისგან გამოყოფილი ტერიტორიები და ნაციები. რუსული აგრარიზმის თვალსაზრისით, რუსეთი ამ ოპერაციით დაღარიბდა, სამუშაო მიწა-ადგილი დააკლდა, ხოლო მოსაზღვრე ახალი და ძველი სახელმწიფონი აღორძინდენ, ე. ი. უკმაყოფილო მხარეა რუსეთი. კმაყოფილია მისი მოსაზღვრე ფინლიანდია და ბალტიის სახელმწიფონი, რომელთაც მოიპოვეს დამოუკიდებლობა, და პოლონეთ რუმინია და ოსმალეთი თავიანთი ახალი საზღვრებით. აქედან იბადება ამათთვის პრობლემა: შეინარჩუნონ არსებული მდგომარეობა რუსეთის თავდასხმისაგან: ესენი ობიექტიურათ მშვიდობიანობის, არსებული მდგომარეობის მომხრენი უნდა იყვნენ მაშინ, როდესაც რუსეთი, პირიქით, რევანშის და დაკარგულ ტერიტორიების დაბრუნების. დღეს საბჭოები სარევანშო ომს უარყოფენ და მის ალაგას აყენებენ «რევოლიუციონურ» ომს, მაგრამ ეს საბოლოვოთ სულ ერთია, რა ტაფაზე შეიწვება მსხვერპლი. ეს ომი კაიხანია იფეთქებდა, რომ ბოლშვიკებს ხელს არ უშლიდეს ეკონომიური და ფინანსიური უძლურება და ამ ნიადაგზე აღმოცენებული შინაგანი დასუსტება.

ცხადია, დღეს ომი არ შეადგენს არც საბჭოთა კავშირის, არც ლიმიტორფთა სახელმწიფო ინტერესებს, მაგრამ ვინაიდგან სახელმწიფო ინტერესი ხშირათ არ ეთანხმება მმართველ წრეების ჯგუფურ ინტერესებს, განსაკუთრებით უდემოკრატიო ქვეყნებში, ცხადია, ომის ავანტიურისაგან დაზღვეული არავართ არც დღევანდელ პირობებში.

ყოველ შემთხვევაში, საერთაშორისო დამოკიდებულების ობიექტიურად შეფასებისაგან აშკარაა ერთი რამ: საბჭოთა რეჟიმი, ე. ი. დასუსტებული რუსეთი მისაღებია განაპირა სახელმწიფოებისათვის, როგორც მომცემი მეტი გარანტიის არსებული საზღვრებისათვის. სამაგიეროთ ეს რეჟიმი სრულიად მიუღებელია თვით რუსის და არა რუსის ხალხებისათვის საბჭოთა კავშირისა. და სწორედ აქედან იწყება ომის და ზავის საკითხის გართულება.

რუსეთის ეკონომიური განვითარება ბუნებრივი აუცილებლობით მოითხოვს საბჭოთა სისტემის დაშლას და მის ალაგას ახალი პოლიტიკური სისტემის აგებას, — აი ეს გარემოება ქმნის ომის საშიშროებას. ე. ი. ომის და ზავის საკითხი დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის შინაგან მდგომარეობასთან და მის ამა თუ იმ ფორმის ცვლილებასთან.

როდის არის მოსალოდნელი ომი?

როგორ შეიძლება ზავის დამკვიდრება?

საბჭოთა წყობილებას აფორიაქებს მისი შეურიგებელი წინააღმდეგობა ხალხის ფართო მასების საარსებო ინტერესებთან. ამ წინააღმდეგობის დედა ძარღვი მარხია ეკონომიურ სფეროში. კომუნისტურ საბრძანებელში ღატაკი, მხოლოდ ხელისუფლების მოწყალებაზე დამოკიდებული მოქალაქე, არის აღიარებული ნორმალურ მოქალაქეთ, ხოლო დამოუკიდებელი, სიღატაკისაგან გამოსული ადამიანი— სახელმწიფოს მტრათ. აქედან იბადება კომუნისტური სოციალური პოლიტიკა. ხალხი ჩაიჭიროს სიღატაკის ხაზზე, არ მისცეს საშვალება მაღლა აწევის და ეკონომიურად წელში გამართვის. ამ პოლიტიკის დამრღვევ თავხედს უდარაჯებს მთელი სახელმწიფო და მას საჩქაროთ აბრუნებს სიღატაკის მორევში. ამ ძალმომრეობას გლეხობამ უპასუხა გასაშტერებელი საყოველთაო გაფიცვით—პურის თესვის შემცირებით. ხოლო მუშებმა—სობოტაჟით-შრომის ნაყოფიერების დაცემით. აი ეს დაუცხრომელი ბრძოლა პოლიტიკურ ზედნაშენობის და საწარმოვო ძალთა მოთხოვნილებათა შორის აუცილებელს ხდის რეჟიმის დაცემას.

ეს დაცემა შეიძლება მოხდეს სამ ხაზზე:

ან სახელმწიფო აპარატის თანდათან დაშლით; ურთიერთშორის იერარქიულ დამოკიდებულების დარღვევით, ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ მცხოვრებთა გავლენით დამოუკიდებელი მუშაობის წარმოებით, ცენტრის განმარტოებით; ერთი სიტყვით: ცენტრალურ ძალებზე ანტიცენტრალური ძალების გამარჯვებით.

ან ხალხის საერთო მოძრაობით და მის მიერ ძალაუფლების დაპატრონებით;

ან ცენტრში ბანაპარტისტულ, თუ ფაშისტურ-მონარქისტული გადატრიალებით და სამხედრო ძალაუფლების დამყარებით.

პირველი შემთხვევა: სახელმწიფო აპარატების დეზაგრეგაცია და დეზორგანიზაცია კაი ხანია დაწყებულია. მათი დაუსრულებელი «წმენდა» ხელისუფლების მიერ არა თუ აჩერებს ამ გახრწნას, პირიქით, მას აძლიერებს და აღრმავებს. გაზეთები სავსეა ცნობებით იმაზე, თუ როგორ მასიურ ხასიათის ღებულობს ცენტრის ბრძანებათა ადგილობრივ აუსრულებლობა, სოფლის კომუნისტების პარტიიდგან მოწყვეტა, ქალაქის ორგანოების უსიცოცხლო ორგანოებათ გადაქცევა და სხვა. არც ერთი აღმასრულებელი ორგანო არ მუშაობს თავის თავად აწყობილი მექანიზმის ძალით. საჭიროა განსაკუთრებითი ზომები, დაკვრითი სისტემა, ტერორი და გეპეუ, რომ გაშეშებულ სამართველო ძარღვებში იწყოს სახელმწიფო სისხლის დენა. ეს პროცესი თანდათან ფართოვდება და ცენტრალურ მართველობას ქვეყნიდ-

*) ეს მემორანდუმი ივნისში წარედგინა სოციალისტურ ინტერნაციონალის ეგზეკუტივს და გამოქვეყნებულ იქმნა ინტერნაციონალის საინფორმაციო ბიულეტენში.

რედაქცია.

როგორც მოგეხსენებათ პრესა ყველა ქვეყანაშია, ამ მხრივ საბჭოთა კავშირი გამონაკლისს არ შეადგენს. მხოლოდ უბედურება იმაში იყო, რომ ეს პრესა მის ირგვლივ ყველაფერს კარგს ხედავდა. სტალინის ღრიალიც კი ბულბულის სტვენათ ეჩვენებოდა. მარა ერთი და იგივე მუდამ მოსაწყენია, თუნდაც ის ქება იყვეს და სტალინსაც მობეზრდა მორჩილთა უკბილო ჩიფჩიფი. ამასთან ერთად საჭირო იყო პარტიის სხეულზე ახალ-ახალი მუწუკების გახსნა. ამა თუ იმ კუთხეების შემოწმება, რომ სადმე ურჩობა არ ჩასახულიყო. და ბრძანეს ზევიდან: «თვით კრიტიკას შეუდექით, თავი გაიწკეპლეთო». და გაიშალა თვით კრიტიკა. პარტიის უბრალო წევრებიდან დაწყებული ცეკას პოლიტბიურომდე—ყველანი გიჟებივით დაერიენ ერთმანეთს. დაიწყეს ქექვა სქლად დალექილი ბალღამისა და სიდუხჭირისა. საბჭოთა გაზეთები აივსო გარეშეთათვის დღემდის დაფარულ სისაძაგლით და სიბინძურით. გაზეთის ფურცლებზე, როგორც სარკეში, გამოჩნდა კომუნისტური პარტიის დამუწუკული და ჩირქიანი სახე.

მთელი პარტია დაირაზმა, წკეპლებით და კეტებით შეიარაღდა. სათავეში მსხვილი რუსული კეტით სტალინი წამოიჭიმა და მის ქვევით გაიშალა პარტიის წევრთა და ორგანიზაციათა ლეგიონები.

სტალინი, როგორც გამოცდილი კაპელმეისტერი დირიჟორობს ურთიერთის წკეპლვას. ჭეშმარიტად საყურადღებო სპექტაკლია.

თვით კრიტიკის ციებცხელებამ მოიცვა მთელი საბჭოთა კავშირი. ამ მხრივ მეტად დიდი საქმე კეთდება. რასაც დღემდის ხალხს უმალავდენ, ის დღეს საამკარაოზე გამოგორდა. დაწყებული ლენინგრადიდან და გათავებული კულაშის თემით ყველაფერი გატიტვლდა. ქართული «კომუნისტის» ნომრები სავსეა პარტიის წევრების და პასუხისმგებელ მუშაკების სისაძაგლით. დაწყებული სახალხო კომისრიდან გათავებული პარტიის უბრალო წევრით. თურმე, ყველა ყაჩაღი და ხალხის სისხლის მსმელი ყოფილა. რა გინდათ, რომ მათ არ ჩაუდენიათ: მექთამეობა, ძალადობა, სქესობრივი ადვირ-ახსნილობა, ხალხის აწიოკება, ქურდობა და სხვა.

აი რას სწერს «კომუნისტი» ამ საგანზე:

«ბოლშევიკური თვით კრიტიკის ლოზუნგის ფართოდ გაშლამ ბოროტმოქმედების მთელი რიგი ფაქტები აღმოაჩინა.—აჭარისტანში, სამხრეთ ოსეთში, ბაქოში და სხვა, აქ არ შეუდგებით იმ უმსგავსოებაზე ლაპარაკს რომელსაც ჩადიოდა ხელმძღვანელთა ერთი ნაწილი»... (იხ. «კომუნისტი» № 234).

ერთი სიტყვით სჩადიოდენ ყველა იმ «კეთილ» საქმეს, რასაც პატიოსან საზოგადოებაში ბოროტება ეწოდება. ამ მხრივ დამახასიათებელია ბაქოს ხელმძღვანელ კომუნისტურ ორგანიზაციის მთელი შემადგენლობის საქმენი საგმირონი. ბაქოს პარტკომის მდივანი, თავმჯდომარე და მისი წევრები თურმე «პარტ. გენერალურ ხაზს» აცდა და გადაეშვა «წვრილ ბურჟუაზიულ წუმპეში». მექრთამეობა, ლოთობა და ხალხის აწიოკება—ერთი სიტყვით აზიური დესპოტობა—მათ ხელობათ გაუხდიათ. ყველაფერი ეს ხდება ბაქოში; საბჭოთა კავშირის ამ მესამე ქალაქში, სადაც მუშათა კლასის მაჯის მძლავრი ცემაა, იმ ბაქოში, რომლის ბედი აგერ 9 წელიწადია კომუნისტების ხელშია და, რომლის მეთაურნი და ხელმძღვანელნი, ამ ხნის განმავლობაში აღნიშნული პირები იყვნენ. ყველაფერი ეს საზოგადოებამ მხოლოდ ეხლა დაინახა. ამ მხრივ «თვით კრიტიკა» ბოროტი ხელის კეთილი გამოგონებაა.

მარა ბაქოს «გმირები» მამა აბრამის ბატკნები არიან ბათომის და აჭარისტანის კომუნისტ-მოღვაწეებთან შედარებით.

ბათომში დღემდის გამეფებული იყვენ ბათომისა და აჭარისტანის კომპარტიის მთელი აქტივი. ბ. მ. გოგიბერიძის მეთაურობით. გოგიბერიძე და გამყრელიძე იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცეკას, საქართველოს ცაკის, და ამიერკავკასიის ცაკის წევრები, მაშასადამე, არა უბრალო «მომაკვდავნი», არამედ ამიერკავკასიის მოღვაწენი. და აი ამ დიდ «მოღვაწეთა» შესახებ, რას მოგვითხრობს «კომუნისტი»:

«მემედ გოგიბერიძეს და ლევან გამყრელიძეს ბრალდებათ მთელი რიგი ბოროტმოქმედებანი, როგორც მაგალითად უცხო ელემენტებთან კავშირი, კლასობრივი ხაზის გამრუდება, მშრომელი მასებისაგან სრული მოწყვეტა, თანხების გაფლანგვა, მექრთამეობა და სხვა, რისთვისაც ისინი პასუხის გებაში უნდა იქნენ მიცემული» (იხ. «კომ.» № 237).

ამ საბრალმდებლო ოქმში ყველაზე უფრო საინტერესო ერთი მუხლია: «მშრომელი მასებისაგან სრული მოწყვეტა». ვინც ბოლშევიკების სიტყვას და საქმეს იცნობს, მან კარგად იცის, თუ რას ნიშნავს ასეთი პასუხისმგებელ პირების «მასებიდან მოწყვეტა» და ისიც «სრული». ჩვეულებრივ ენაზე ეს გახლავთ მართველი პირების განუსაზღვრელი დესპოტობა, ხალხის ნება-სურვილის აბუჩად აგდება, მათი ინტერესების ფეხქვეშ გათელვა, დაცინვა, დამცირება—ერთი სიტყვით ხალხის უბედურობაზე მართველთა ბედნიერების აგება.

განა სიმბოლიური არ არის ბაქოს და ბათომის მაგალითები? ეს ორი ქალაქი ხომ ამიერ კავკასიის ორი ყვავარჯენია კასპიისა და შავი ზღვის კიდეებზე მიბჯენილი და აი ამ ორ ბრძანებელ პუნქტში ასეთი «კრამოლა».

ჭეშმარიტად კართაგენი ინგრევა!

მარა ეგებ ბაქოსა და ბათომს შუა სიწყნარე და და «პარტ. გენერალური ხაზი»-ს დაცვაა გამეფებული? ასეთი კითხვის დასმაც კი გულუბრყვილობა იქნებოდა. ამ იჭვის გასაფანტავათ საკმაოა თვალი გადაავლოთ, თუგინდ შემთხვევით ხელში მოხვედრილ საბჭოთა გაზეთებს. აიღეთ ოსეთის ამბები, სადაც ამ წლის ივლისში აღმასკომის მთელი შემადგენლობა გადაყენებულ იქნა. მათ საბრალმდებლო ოქმში ვკითხულობთ:

«მექრთამეობა, ქურდობა, სიტლანქე და მასებიდან მოწყვეტა, ლოთობა და ხულიგნობა, გამდიდრებისადმი მისწრაფება და სხვა იყო გამეფებული».

ყველაფერი ეს ჩაუდენია იმ ხალხს, რომლებიც ოსეთის ხელმძღვანელად და მხსნელად იყო დანიშნული!

შეიძლება ვინმეს გონია, რომ თვით კრიტიკა, რომელიც გადაიქცა კომუნისტ სატრაპების დევნის იარაღად—შემოღებულია ხალხის ინტერესების დასაცავად და ბოროტების აღმოსაფხვრელად?—არა, ეს თვით კრიტიკა, თუ გნებავთ, შინაპარტიული ბრძოლის ახალი გამოცემაა. ამით სტალინი ანგარიშს უსწორებს თავის ურჩ ამხანაგ-ოპოზიციონერებს. ის ორ კურდღელს იჭერს—ოპოზიციას ფიზიკურად ანადგურებს, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავეს და ამავე დროს, სახელსაც უტეხს ხალხის თვალში.

სხვათა შორის, თვით კრიტიკამ გარდა სისხლის სამართლის დანაშაულებებისა—გამოაშკარავა საბჭოთა სინამდვილის მეორე სახეც—ეს კომუნისტური პარტიის ორ ფენათ დაყოფა და ამ ორნაწილთა შორის აშკარა ბრძოლის გაჩაღება. ამის საუცხოვო მასალას იძლევა «კომუნისტის» ზოგიერთი კორესპოდენტი ადგილებიდან.

აი რას მოგვითხრობს ერთი კორესპოდენტი არაშენდის თემიდან (კახეთის ოლქი):

«სოფელ ბოგდანოვკაში კულაკს ნიკიტა ტოკარევს ჰქონდა სალეწი მანქანა... საოლქო ცენტრიდან რამოდენიმე განკარგულება გაიცა ამ მანქანის ხსენებულ კულაკისათვის ჩამორთმევის შესახებ. ეს განკარგულებები არაშენდის საბჭომ და თემკომმა არ შეასრულეს იმ მოტივით, რომ «ტოკარევი მშრომელი კაცია და მას მანქანა ეკუთვნისო» (კომ. № 239).

იმავე არაშენდის თემკომის შესახებ ვკითხულობთ იმავე წერილში:

«კულაკების დაცვის საქმეში არაშენდის თემკომი უფრო შორს მიდის. ის «ამტკიცებს», რომ სოფელ ჯიმითში კულაკები არ არის. ხარაშვილის დირექტივების თანახმად იწვევენ კაჭრეთის საბჭოს სხდომას და ადგენენ: «არ მოხდეს ინდივიდუალურად დაბეგვრა კაჭრეთის თემში, რადგანაც აქ კულაკი არ არის».

კორესპოდენტის, ვითომცდა ეს უბრალო ცნობა, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტია. აქ სახეში უნდა მივიღოთ საბჭოთა ხელისუფლების საგლეხო პოლიტიკა, რომელიც მიმართულია შეძლებულ და საშვალო გლეხობის ბუნებრივ ზრდისა და განვითარების წინააღმდეგ. მთავრობის ამ პოლიტიკის პრიზმაში გამინჯული ეს ფაქტი ნათელს ფენს იმ გაფთრებულ ბრძოლას, რომელიც სოფლად სწარმოებს. ამ ბრძოლაში ხშირად თვით სოფლის კომუნისტები გლეხობის მხარეზედ არიან და მასთან ერთად ხან იერიშზე გადადიან ხელისუფლების წინააღმდეგ და ხან მოგერებით ბრძოლას აწარმოებენ.

ხარაშვილები და სხვა პარტიულები სოფლად—ეს საბჭოთა აქილესის ქუსლია, მეტის-მეტად ღია.და საამკარაოზედ გამოტანილი. ის თუ გნებავთ—საყვირია კომუნისტური პარტიის იმ ნაწილის, რომელიც ცხოვრებას უდგება არა სტალინის ხეპრულის გეგმებით, არამედ სინამდვილისა და არსებული მდგომარეობის ოდნავ მაინც ალღოს აღებით. კომპარტიის ეს მასსა გათქვეფილია საზოგადოების ურთიერთობის ქვაბში, ის ძალა-უნებურად ამ საზოგადოების ნება-სურვილებით იქდინთება.

სწორედ კომპარტიის ეს ნაწილი იყო დღემდის ის ფუძე, რომელზედაც შენდებოდა პარტიის «მონოლიტობა» და სიმტკიცე. ეხლა კი მდგომარეობა შეიცვალა პარტიის ფუძე შეირყა, ხმა ამოიღო, ის თანდათან, ფრთხილად, მაგრამ აუცილებლობით ხალხისაკენ მიდის. ერთი ნახტომიც და... კომპარტიის გოდოლი დაინგრევა. ამას, ცხადია, ხელისუფლებაც გადაყვება.

კართაგენი ძირიდან ინგრევა!

ს.

წერილი საქართველოდან

საერთო მდგომარეობა.

1921 წლიდან მოყოლებული დღევანდლამდე საქართველოს არ ახსოვს ისეთი აუტანელი მდგომარეობა, როგორსაც იგი დღეს განიცდის. აღვირახსნილი თარეში ოკუპანტების და ცინიკური მოპყრობა საზოგადოების ყველა წრეებისადმი მართლაც, რომ გასაშტერებელ ფორმებში ხდება. მუშა და გლეხი, ერი და ბერი ამ საერთო უღლის ქვეშ ლაფავს სულს. ის დიდის განცდით და გმირობით იტანს უზარმაზარი რუსეთის ჩექმის უხეშ სიმძიმეს და მოუთმენლად მოელის განთავისუფლების ჟამს. ამ მოლოდინში ის ცდილობს ბოლშევიკების გამომწვევ, პროვოკატორულ ნაბიჯების ანკესზე არ წამოეგოს.

ეკონომიური მდგომარეობა ქალაქში.

ყოველგან გამეფებულია გაჭირვება, უკმაყოფილება და ჩუმი ჩივილია. პირდაპირ სულს ლაფავს მუშა-მოსამსახურე, არ აცვია, არ ხურავს, შია, წყურია, ან კი რა უნდა ჩაიცვას და დაიხუროს, როდესაც სახელმწიფო გამოფიტულია და გაღატაკებული. პირველი მოთხოვნილების საგნები: პური, ფართალი, შაქარი, ყველი და სხვა თითქმის არ იშოვება და თუ გამოჩნდა სადმე, მთელი აურზაური და ორომტრიალია იმ დღეს ქალაქებში. რიგები იმდენათ დიდია, რომ ბოლო არ უჩანს. პური სულზე ერთი გირვანქა რიგდება, ისიც საძაგელი, დაბალი ხარისხის. ხშირად თაგვებით და ლურსმნებით სავსე—ასეთი პური 37 კაპეიკია გირვანქა.

ხელფასი მეტად მცირეა, მაგრამ ამასაც უნახევრებენ სხვადასხვა გადასახადებით და «გამოკლებებით». მაგალ. ინდუსტრიალიზაციის, ავიოქიმიის და სხვა მრავალ საზოგადოებების საწევრო გადასახადების სახით. ყველა ამ დაწესებულებების წევრობა სავალდებულოა. თუ მუშამ გაბედა და წევრათ არ ჩაეწერა—მას მოელის დათხოვა, შიმშილი და დატუსაღება, როგორც კონტრ-რევოლიუციონერს, საბჭოთა სახელმწიფოს მტერს.

აუტანელი ეკონომიური მდგომარეობა ქმნის შესაფერ სულიერ განწყობილებას ქალაქის მცხოვრებთა შორის. მუშა-მოსამსახურენი აღარ მალავენ თავის აღშფოთებას ხელისუფლებისადმი. ამის საუკეთესო მაგალითია თფილისის სახელოსნოს მუშების საქციელი ამ წლის თებერვალში: ბოლშევიკებმა გადასწყვიტეს 25 თებერვალი აღენიშნათ, როგორც ყოველთვის, დემონსტრაციებით. მაგრამ ხელოსნობ მუშებმა უარი განუცხადეს დემონსტრაციაში მონაწილეობაზე, რის გამო ხელისუფლება იძულებული გახდა დემონსტრაციები გაეუქმებია.

უმუშევრობა.

ქართველ მუშა-მოსამსახურის უნუგეშო მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს უმუშევრობის საკითხი. დღეს თფილისში 36.000 უმუშევარია აღრიცხვაზე აყვანილი, ეს მხოლოდ ოფიციალურად. ბირჟის მუდმივი «წმენდა», პოლიტიკურად არასაიმედო პირებისაგან, აღრიცხვის გარედ აყენებს აურაცხელ უმუშევართ, რომელთა რიცხვის გამორკვევა მეტად ძნელია. თუ რამდენად დიდია პროცენტი ამ «გაწმენდილთა» იქიდან ჩანს, რომ ამ წლის თებერვალში ბირჟის გარედ დარჩა 3.500 უმუშევარი, ამას ისიც დაუმატეთ, რომ ვინც აღრიცხვაზეა, მას ხშირად წლობით უხდება რიგში დგომა, თუ სადმე სამუშაო გამოჩნდა—პირველ რიგში პარტიულებს აგზავნიან.

უმუშევართა რიგები გაძღენთილია ჩეკის აგენტებით, რომელთა მოვალეობაა უმუშევართა სულიერ განწყობილების გაშუქება. ყველა ამ მასალებს იყენებენ წმენდის დროს. ამის გამო ხშირია უმუშევართა უკმაყოფილების აშკარა გამოხატვა. ბირჟაში ხშირად გაიგონებთ კომუნისტ გამგეების ცინიკურ წამოძახილს:

«კონტრ-რევოლიუციონერებისათვის ადგილი არ არის, პატიოსანი პარტიულებიც უადგილოდ გვირჩებაო». კომუნისტ სატრაპების ასეთი საქციელი სამართლიან აღშფოთებას იწვევს დამშეულ და დამცირებულ უმუშევართა შორის, რაც ხშირად ბირჟის გამგეთა ცემა-ტყეპით თავდება. ასეთი შემთხვევა იყო გასულ წელს შემოდგომაზე თფილისის მთავარ ბირჟაში, სადაც უმუშევარმა №-მა სცემა მაგიდის გამგეს.

გლეხკაცობა.

ყველაზე დაუნდობელი და შეურიგებელი მტერი ბოლშევიკების—გლეხკაცობაა. 26-27 წ. გლეხი კიდევ ახერხებდა სხვადასხვა სამეურნეო საგნები გაეყიდა შედარებით თავისუფლად, დღეს კი მას არ აქვს ამის საშვალება. ღვინო, ხორბალი, თუთუნი, პარკი, თხილი და სხვა პროდუქტები სახელმწიფოს მიაქვს ჩალის ფასად, მაშინ, როდესაც მრეწველობის საგნები 3-4 ჯერ მეტად ფასობს. ამას ზედ ერთვის ათასგვარი გადასახადები. სხვადასხვა სახის ბეგარა, საგლეხო სესხი, შვილების სკოლაში მიუღებლობა, როგორც არა კომსომოლისტის და სხვ. ყველაფერი ეს რაზმავს გლეხობას ხელისუფლების წინააღმდეგ და მის შეურიგებელ მტრად ხდის.

ბოლშევიკები ვითომდა ეხმარებიან გლეხებს—უხსნიან საკრედიტო ამხანაგობებს და სხვა. მაგრამ კრედიტით სარგებლობენ მხოლოდ ადგილობრივი კომუნისტები, რომლებიც კრედიტს იყენებენ სავაჭრო მიზნით. მაგალითად გურიაში ჩოხატაურის რაიონში რამოდენიმე კომუნისტმა საკრედიტო ამხანაგობიდან ფული გამოიტანა სამეურნეო მიზნით და პროცენტებში გაასესხა. ასეთი წესი სისტემათ გადაიქცა.

ამ საერთო კრიზისს წელს თან დაერთო ჯერ არ ნახული მოუსავლობა. დასავლეთ საქართველოს საუკეთესო მოსავლიანი ადგილები გვალვებმა გაანადგურა. სიმინდი ძირზედ ახმა, გამოშრა და გამოიფიტა ისე, რომ საქონლის საკვებათაც არ გამოდგება. ამის გამო ფუთი ფქვილი უკვე 8 მანეთი ღირს. არ ვიცით რა ბედი ეწევა გლეხობას, თუ სადმედგან დროზედ რამე არ ეშველა. ისედაც გაძვალტყავებული გლეხობა მოუსავლობამ მთლათ გაანადგურა. ვინ არის გამკითხავი! აღმოსავლეთ საქართველოში შედარებით პურის უკეთესი მოსავალია, თუმცა სამყოფი არც იქ არის.

რეპრესიები.

სიმშილს და სიტიტვლეს ზედ ერთვის ხელისუფლების მიერ სასტიკი რეპრესიები. საქართველო

გან მოწყვეტას უქადის. ასეთ პირობებში მთავრობა შეიძლება დადგეს დილემის წინაშე: ან სამარცხვინო კაპიტულიაცია შინაგანი ძალების წინაშე, ან და გმირული ცდა ამ ძალების ისევ თავის ირგლივ შემოსაკრებათ და თუ ამას მაინც ვერ მიაღწია—სახელოვანი დაცემა. ამის ერთად-ერთი საშვალებაა საგარეო გართულება, ხალხის ყურადღების საზღვარ გარეთ მიქცევა. «რევოლიუციური» ომის აფეთქება. ომი, როგორც იარაღი დესპოტიის შესამაგრებლათ, ცნობილი ძველი ამბავია. საბჭოთა დესპოტია ვერ უღალატებს თავის ბუნებას, თუ ის მანამდე არ დაეცა მეორე და მესამე შემთხვევით.

შემთხვევა მეორე: ხალხის ამოძრავება და დემოკრატიის გამარჯვება იძლევა შესაძლებლობას ომის თავიდან აცილების და მშვიდობიანობის დამყარების. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვება მართლა დარჩა მშრომელთა დემოკრატიას. და ის ხელში არ ჩაუვარდა ბურჟუაზიას. ჩვენ ვიბრძვით ხალხის სუვერენობისათვის, დამოკრატიისათვის. ხოლო მის საზღვრებში კი შეიძლება ხდეს გამარჯვება როგორც ბურჟუაზიულ ისე მუშის და გლეხის დემოკრატიას. ბურჟუაზიული დემოკრატია იძულებული იქნება მიმართოს სამხედრო პოლიტიკას, ძველი იმპერიის აღდგენას თავისი იმპერიალისტური ზრახვების განხორციელებას. მთელი თანამედროვე იმპერიალიზმი ბურჟუაზიული დემოკრატიის ღვიძლი შვილია და ამ გზას ვერც რუსეთის ბურჟუაზია გადაუხვევს.

ზავი განმტკიცდება იმდენად, რამდენად დემოკრატიის ფარგლებში მოიპოვებს ძალას და გავლენას მშრომელთა კლასების—მუშათა და გლეხთა გავლენა. ეს არც ისე ძნელი მისაღწევია, თუ სახეში მივიღებთ საბჭოთა კავშირის სოციალურ სტრუქტურას. აქ არსებობს ორი ეკონომიურათ და პოლიტიკურად მომქმედი კლასი—პროლეტარიატი და გლეხობა. დანარჩენი კლასები ან სრულიად არ არსებობენ ან და იმდენათ სუსტნი არიან, რომ არ წარმოადგენენ მნიშვნელოვან ძალას. ამ აქტიური კლასების ამოძრავება და ერთად ბრძოლის ველზე გამოყვანა შეუძლია ნათელ, მართლა მათ სასარგებლო პოლიტიკურ დროშას.

ამ დროშის შესამუშავებლათ შეუძლებელია გამოვიდეთ იმ პოლიტიკურ-ეკონომიურ და ნაციონალურ მდომარეობიდან, რომელიც არსებობდა რევოლიუციის წინ, ან შემდეგ, დროებითი მთავრობის დროს, არამედ, რომელიც არსებობს დღეს ბოლშევიკურ ბატონობის მე-11 წელიწადს. ამ მდგომარეობას ახასიათებს სამი მომენტი:

პოლიტიკურ სფეროში სავსებით დამკვიდრდა თებერვლის რევოლიუციის პერიოდში სოციალისტების მიერ წამოყენებული დებულება, რომ სახელმწიფოს ბატონი უნდა იყოს მუშა და გლეხი, რამაც თავისი პოლიტიკური გამოხატულება პოვა დამფუძნებელი კრების არჩევნებში. მაგრამ ამ ორი კლასის ბატონობის ალაგას ბოლშევიკებმა თავიანთი პარტიის ბატონობა დაასკუპეს და მით სავალალოთ წაწარყვნეს თვით იდეია მათი ბატონობისა. ამ დიქტატურის მოშლა და დემოკრატიული გზით მშრომელთა აზრის გამოხატვა და მათ მიერ თავისუფლად ხელისუფლების დაწესება—აი პოლიტიკური პრობლემის ძირი.

ეკონომიკაში გაბატონებულია ის აზრი, რომ სახელმწიფო, თემი და კოოპერაცია აწარმოებს ვაჭრობას და მრეწველობას, ხოლო დღეს მონოპოლიის შემოღებით და კერძო ეკონომიკის აღკვეთით, ეს სამეურნეო საქმიანობა გახდა იარაღად ხალხის გაღატაკების და გაძარცვის. მთავარი აზრის შენახვა, მისი დემოკრატიულ უფლებრივ ნორმაში ჩაყენება დი მით საზარალო საქმიანობის სასარგებლო საქმიანობად გადაქცევა—აი ჩვენი დროშა. საბჭოთა ინდუსტრიალიზაცია ხდება ისეთივე საშვალებით, როგორითაც ხდებოდა ის ყველა ჩამორჩენილ ერებში თავის დროზე: გლეხობის ექსპროპრიაციით და მუშათა დღის ქირის პოლიციური წესით «რეგლამენტაციით». ე. ი. საბჭოთა ხალხების პაუპერიზაცია. რასაც კომუნისტები შეგნებულათ აწარმოებენ ხაზინის სასარგებლოთ, წარმოადგენს მთავარ წყაროს ახალ სამრეწველო დაწესებულებათა ასაგებად და ძველის შესანახად. ხალხის სისხლით და ოფლით ამ შენაძენ ქონების საყოველთაო დენაციონალიზაცია იქნებო და ხალხის სიმდიდრის გაფლანგვა და ბურჟუაზიის ხელოვნურათ შექმნა. მაშასადამე ამ სფეროში ჩვენ მოვითხოვთ: კერძო ეკონომიკის ფარგლებში სახელმწიფო, სათემო და საკოოპერაციო სოციალიზმის ფართედ წარმოებას, სავაჭრო მონოპოლიების მოშლით (გარდა ზოგიერთი დარგისა), აშკარა საზარალო წარმოებათა დენაციონალიზაციით, მიწის საკითხის გლეხთა სურვილის თანახმად გადაჭრით და ფართე მუშათა კანონმდებლობის შემოღებით.

ნაციონალურ სფეროში საბჭოთა კავშირი სრულიად არ გავს არც ცარისტულ და არც დროებით მთავრობის იმპერიას. ბოლშევიკებმა ძალით შემოიერთეს რა გამოყოფილი ერები იძულებული გახდენ მათი დამოუკიდებლობა დაეტოვებით კულტურულ სფეროში მაინც. აქედან დაიბადა საბჭოთა კავშირის დაყოფა რამოდენიმე ნაციონალურ და ავტონომიურ რესპუბლიკებათ, საკუთარი ენით, ლიტერატურით, შკოლით, დაწესებულებებით, ერთი სიტყვით, ყველა კულტურული ატრიბუტებით. ძველი იმპერიის სრული დერუსიფიკაცია და ნაციონალურ კერათა შექმნა უკვე ფაქტია, მაგრამ ამ იურიდიულად თანასწორ რესპუბლიკათა შორის ეკონომიურად და პოლიტიკურად გაბატონებულია ერთი რესპუბლიკა—რუსის, თუმცა კავშირის მცხოვრებთა ნახევარი არარუსებია. ამ ნიადაგზე გაღვივებულია ნაციონალური შუღლი და მოკავშირის, დამხმარეს უცხოეთში ძებნა.

მაშასადამე ნაციონალურ სფეროში ჩვენი მოთხოვნილებაა: მხარის დაჭერა ნაციონალურ თვითგამორკვევის, იღებს ის ფორმას დამოუკიდებლობისას, თუ ავტონომიურად არსებობისას. ამ ხაზზე ჩვენ შეგვიძლია წამოვაყენოთ მხოლოდ ერთი პირობა: სადაო საკითხების გადაჭრა დაინტერესებულ მხარეთა შორის ხდებოდეს პაციფიურად, მოლაპარაკებით, და სავალდებულო არბიტრაჟით. ამ მშვიდობიანი მეთოდის გატარება მით უფრო ადვილია, რომ თვითეული რესპუბლიკა უკვე შემოფარგლულია ტერიტორიალურად, საზღვრები ნაჩვენებია და, მაშასადამე, შუღლის მთავარი წყარო დახშულია. ამ საკუთარ, უდავო ტერიტორიებში შემდგარ დემოკრატიულ მთავრობას დარჩება მოსაწესრიგებელი ასეთივე მეზობელ მთავრობასთან უმთავრესად ეკონომიური საკითხები, რის გადაწყვეტა არც ისე ძნელია. ამით ომის მთავარი მიზეზი—ტერიტორიალურ-ნაციონალური—სამუდამოთ გაქრება.

ნაციონალური საკითხის გადაუჭრელობა იყო და იქნება ომის გამომწვევ მიზეზათ. ამიტომ ყველა მართლა პაციფიური ელემენტები, მით უფრო სოციალისტები, უნდა იყვნენ მომხრე ამ საჭირბოროტო დაბრკოლების გზიდან აცლის და მით მშვიდობიანობის საქმის ფართო ნიადაგზე აგების. საბჭოთა კავშირის დაჩაგრულ ერთა გამოგლეჯა ნაციონალიზმისაგან და სოციალისტური დემოკრატიის ფარგლებში ჩაჭედვა შეიძლება, მხოლოდ ერთი საშვალებით: მათთვის კატეგორიულად მხარის დაჭერით, მათზე ბრიუსელის კონგრესის რეზოლიუციის (კოლონიის ხალხებზე) გავრცელებით.

ამნაირად მშრომელთა დემოკრატია, სოციალური ეკონომიკა და ნაციათა თვითგამორკვევა—აი რა დროშით შეგვიძლია საბჭოთა ხალხების პოლიტიკური ამოძრავება და ბოლშევიზმის ლიკვიდაციის მათ სასარგებლოდ გათავება.

რაც უფრო გვიანდება პროლეტარიატის ამოძრავება და სოციალისტური პარტიების უმოქმედობა, მით უფრო ძლიერდება გლეხობის დაპირდაპირება ქალაქის და მუშებისადმი და ღრმავდება მისი ბონაპარტიზაცია. გლეხი ვერ ხედავს დღეს მოკავშირეს და თანამებრძოლს მუშათა კლასში. ის დარჩენილია უმეთაუროდ, უმოქმედოთ და ელის მხსნელს რაიმე უეცარი შემთხვევით. ბონაპარტისტულ-ფაშისტური გადატრიალება კარზე აკაკუნებს.

შემთხვევა მესამე: ბოლშევიკური ხელისუფლების ლიკვიდაცია მაღლიდან გადატრიალებით და სამხედრო მართველობის დაწესებით, იქნება დაწყება ომთა მთელი რიგების. მისი საშინაო და საგარეო დროშა იქნება ბოლშევიკურ სამკვიდროს სრული ლიკვიდაცია. ამ მიზნით ის პირველ ყოვლისა ალაგმავს «გაუთაურებულ» პროლეტარიატს, მოსპობს ავტონომიურ და ნაციონალურ რესპუბლიკებს და შემდეგ შეეცდება დაიბრუნოს დაკარგული ტერიტორიები. ამ ფართე პლანის შესასრულებლათ ის მოიპოვებს ევროპაში მოკავშირეს, დამხმარეს. დაუკავშირდება პირველ ყოვლისა ყველა ქვეყნის მონარქისტებს, ფაშისტებს და მილიტირისტებს; მისცემს მათ სხვადასხვა ეკონომიურ შეღავათებს რუსეთში, აღადგენს დაკარგულ პოზიციას ბალკანეთში, დაარღვევს არსებულ წონასწორობას, გამოიწვევს მთელ დასავლეთში უძლიერესს რეაქციას. ევროპის «დამშეული» კაპიტალი შევა მოსკოვის ბონაპარტიზმის სამსახურში რუსის ხალხის ხარჯზე. ძველი საერთაშორისო ჟანდარმი გაცოცხლდება.

აქედან ცხადია, ბოლშევიზმის ლიკვიდაცია სამ-

დღითი-დღე იცლება ჯანსაღ ელემენტებისაგან. ციმბირში და რუსეთის მხარეებში გადასახლებას მოუხშირეს. მაგ. გურიის მარტო ერთ სოფლიდან გადასახლებულია 100 გლეხი—ქალი და კაცი. ასეთივე სურათია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში.

მოსწავლე ახალგაზდობა.

საწყალი სტუდენტობა! ულუკმა-პურო, მშიერმწყურვალი დადის და ტკეპნის თფილისის ქუჩებს. მისთვის არც სამსახურია და უნივერსიტეტშიაც მათი ბედი ბეწვზე კიდია.

1929 წ. თებერვალ-მარტში უნივერსიტეტიდან გამორიცხეს 200 რჩეული სტუდენტი. მომზადებულ და ბეჯით უპარტიო სტუდენტობას იჭერენ და ასახლებენ, როგორც პოლიტ. არასაიმედოს.

თვით უნივერსიტეტიც ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. გამოცდილ და მეცნიერულ ძალებს პროფესორებიდან—ართმევენ მთავარ საგნებს და მათ ნაცვლათ ნიშნავენ წითელ აკადემია დამთავრებულ კომსომოლისტებს. ამრიგად ქართ. უნივერსიტეტი დაცემის გზაზეა დამდგარი. ვინც ათავებს უნივერსიტეტს, არც მისი ბედია სახარბიელო, თუ კომუნისტი არ არის. ადგილის შოვნა მეტად ძნელია, 60 პროცენტი უპარტიო კურსდამთავრებულთა უადგილოთ რჩება.

საშუალო სასწავლებლები უფრო უნუგეშო მდგომარეობაშია. გამგეთა უმრავლესობა კომსომოლისტებია. ხოლო უპარტიო მცოდნე მასწავლებლობა დევნილია. ამრიგად სკოლა უვიცთა და ხეპრეთა ანაბარად რჩება.

„ჩ ვ ე ნ ი ე რ თ ო ბ ა *)

საშინელ პოლიტიკურ პირობებში, რომელშიაც იმყოფება დღეს დაპყრობილი საქართველო მთელი მოსახლეობით, გვიხდება ჩვენ ამ პატარა ტანის გაზეთის გამოშვება, რომ თავისუფალ პრესის საშუალებას მოკლებულ მკითხველ საზოგადოებას, იმფორმაციის სახით მივაწოდოთ ცნობები საბჭოთა ხელისუფლების მოქმედების და მოღვაწეობის სინამდვილიდგან და აგრეთვე ცნობები მეორე ინტერნაციონალის და საერთოდ სოციალისტურ პარტიების მოქმედების შესახებ საერთაშორისო ფრონტზე, უმთავრესი ჩვენი მიზანია სისტემატიური ბრძოლა ბოლშევიკებთან პრესის საშუალებით, ბრძოლა იდეური და ორგანიზაციული და ამ ბრძოლის ნიადაგზე სამუშაოდ მოუწოდებთ ყველა ჩვენს ორგანიზაციებს.

საქართველოს დარაიონება.

საქართველოს დაქუცმაცება, მისი ყოველგვარი სახელმწიფოებრივი ხასიათის პრეტენზიების გაქარწყლება ერთი მიზანთაგანი იყო თვითპყრობელობის ერთგული ბიუროკრატიისა, მაგრამ მან სავსებით სისრულეში ვერ მოიყვანა ეს მიზანი: ბოლშევიკური ხელისუფლება რა ხელისუფლებაა, რომ მან ვერ შეასრულოს მეფის დროინდელი პოლიტიკის ანდერძის სისრულეში მოყვანა და დამყარდა თუ არა საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში, მოსკოვი შეუდგა ერის სუვერენული უფლებების მოსპობას და თავის პროვინციათ გადაქცევას. ამისათვის საჭირო იყო უპირველეს ყოვლისა ერის სასიცოცხლო ძალების მოსპობა: ხელოვნურათ თავისი უხეში არაჩვეულებრივი მოპყრობით გამოიწვია ხალხის აჯანყება, დახვრიტა ინტელიგენციის და მებრძოლი ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი, შეუდგა ხალხის გადასახლებას და საქართველოს მიწა წყლის უცხო ელემენტებით დასახლებას, მაგრამ ეს მისთვის საკმარისი არ შეიქნა, ხელოვნურათ გამოსჭრა საქართველოს ტერიტორიიდგან ერთეულები, მიანიჭა მათ ავტონომიები: აფხაზეთი, აჭარისტანი, ოსეთი, ფაქტიურათ ჩამოაშორა საქართველოს გულს უძველესი კულტურული ნაწილები: ბორჩალო, ახალქალაქის და ახალციხის მაზრები და ჩამოშორებულ რაიონებში შემოიღო რუსულ ენაზე საქმის წარმოება და გაამეფა მათ სკოლებში რუსული ენა. ქართული კი მოსპო.

ამ ჟამად სისრულეში მოყავს ცნობილი დაშნაკელი ლუკაშინის მიერ შედგენილი საქართველოს დარაიონების გეგმა. ამ გეგმის მიხედვით გააერთიანეს მაზრები, მოშალეს ძველი ისტორიულ კულტურული ცენტრები უცხო ელემენტებით მჭიდროთ დასახლებულ რაიონებს უერთებენ ქართველებით დასახლებულ ნაწილებს ამ უკანასკნელთა გადაგვარების და გათქვეფის მიზნით...

ამაზე შორს ვერც ერთი ჯალათი თვითპყრობელი მეფის მთავრობა ვერ წავა. საქართველოს მთავრობა გამომკითხველი მანქანაა: იგი აკეთებს მას, რასაც უბრძანებენ საქართველოს ისტორიული მტრები..."

(დასასრული იქნება)

*) საქართველოს სოციალდემოკრატია მიუხედავათ სასტიკი რეპრესიებისა გამუდმებით აწარმოებს ბრძოლას საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ, სცემს ფურცლებს, გაზეთებს და სხვა.

ჩვენ მივიღეთ ცენტრალურ კომიტეტის მიერ გამოცემულ გაზეთ «ჩვენი ერთობა»-ს პირველი ნომერი, რომლის შინაარსი აქვე მოგვყავს.

რ ე დ ა ქ ც ი ა.

ს ა ბ ჭ ო თ ა კ ა ვ შ ი რ შ ი

სტალინი, კომპარტიის გენერალური მდივანი რუსეთის ფაქტიური დიქტატორია. ის განაგებს დიდ რუსეთს, მას ემორჩილებიან, მისი ეშინიათ, მარა მასაც ყველასი ეშინია და ამიტომ ის მუდამ იმის ცდაშია და იმ ხერხებს ეძებს, რომ მისთვის სახიფათო ლანდები გაფანტოს. მას არ ენდობიან, მარა არც ის არავის ენდობა და ამ საერთო უნდობლობისა და შიშის საფუძველზე გამართულია პირადული, მარა დიდი და მეტათ სიმპტომატიური ბრძოლა. ჯერ მდგომარეობის ბატონი სტალინია: ზინოვიევი და კამენევი პოლიტიკურათ მოკლა, მორალურათ «გააფუჭა», ტროცკი და მისი პლეადა დაფერთხა. ეხლა მორიგი, მარა მეტათ ღრმა და შეუჩერებელი ბრძოლა მას და რიკოვის შორის სწარმოებს: ამას ადასტურებს ის ცნობები, რომელსაც გაზ. «დნის» და «სოც. უწყების» კორესპონდენტები მოგვითხრობენ.

როგორც იტყობინება «დნის» კორესპონდენტი, მომავალ საკავშირო პარტიულ ყრილობისათვის სტალინი ენერგიულათ ემზადება. ჯერ მთავარი მისი ყურადღება გადატანილია მოსკოვის საოლქო პარტიულ ორგანიზაციაზე (ეს საოლქო ორგანიზაცია შეიცავს ტვერის, რიაზანის, ტულის, კალუგის ძველი გუბერნიების ნაწილებს და მთელ მოსკოვის გუბერნიას. ამ ორგანიზაციის საერთო წონა ყოველ მხრივ მეტათ დიდია).

სტალინის დავალებით ბრძოლა გახსნა ვინმე ბაუმანმა, მის ამ ახალ «რაინდს» დავალებული აქვს ყოველი ღონე იღონოს და რიკოვის გავლენა შეასუსტოს და თუ შესაძლებელია მისი მომხრეები აქედან გარეკოს. რიკოვს ესარჩლებიან ძველი გვარდიის ნატეხები კრუპსკაიას მეთაურობით. ამ ბრძოლაში ჩარეულია კომინტერნის ახალი პერსონაჟი. მოლოტოვი. ის ებრძვის უგლანოვს და მის მომხრეებს. მაგრამ აქ არის «მადრიდის სახლის საიდუმლოება», როგორც ამბობს კორესპონდენტი. უგლანოვის და ტომსკის განკარგულებაში საყურადღებო დოკუმენტებია, რომელიც ოქტომბრის გმირების (სტალინი-ზინოვიევი) წარსულ რევოლიუციურ მოღვაწეობას საეჭვო სახეს აძლევს. ამ დოკუმენტებს იცნობდა თვით ლენინი და ამის გამო ტომსკის და მის შორის მიწერ-მოწერასაც ქონია ადგილი. მთელი ეს მასალა უგლანოვ-ტომსკის გადმოუგზავნიათ საზღვარ-გარეთ და გამოსაქვეყნებლათ უცდიან «შესაფერ მომენტს». ამით აიხსნება, დასძენს კორესპონდენტი, რომ სტალინი ტომსკის და უგლანოვს პირდაპირ თავს არ ესხმის.

მეტათ საგულისხმოა «სოც. უწყების» კორესპონდენტის წერილი. აი რას სწერს ის: «ეხლა დაბეჯითებით ამბობენ, რომ სტალინის მდგომარეობა შერყეულია, რომ არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ის იძულებული გახდეს გადადგეს. ეს მხოლოთ დროს კითხვაა! ირწმუნებიან, რომ მისი პოლიტიკით უკმაყოფილოა მისი ახლობელი თანამშრომლებიც კი. კერძოთ, ასახელებენ მიკოიანს, რომელმაც სტალინის განკარგულების გაკრიტიკება გაბედა. კალინინი და ვოროშილოვი გაკადნიერდენ და გააცხადეს პროტესტი სტალინის პოლიტიკის წინააღმდეგ გლეხთა საკითხში. გადმოგვცემენ აგრეთვე, რომ პროფკავშირების ერთ-ერთ ყოფილმა ხელმძღვანელმა სთქვა, რომ სტალინს შეუძლია ჩვენი თანამდებობიდან მოხსნა, მარა ის უძლურია წაშალოს ის გავლენა, გასჭრას ის ძაფები, რომელიც ჩვენ გვაკავშირებს მუშათა წრეებთან. ჩვენ ჯერ არ გვითქვამს ჩვენი უკანასკნელი სიტყვა»-ო.

ეჭვი არაა პარტიაში არევ-დარევა დაწყებულია, მეთაურთა შორის განწყობილება მწვავდება; ყველა ერთი-მეორეს ხაფანგს უდგამს. დღეს ამ ხაფანგში ერთი გაებმის, ხვალ მეორე და ასე თანდათანობით ირიყებიან.

. .

მართალია, გარეგნულათ ბრძოლა პირადულია და ხშირათ ის სკანდალურ ხასიათსაც ღებულობს, მაგრამ არსებითად ყველაფერი ეს ნადუღია იმ პროცესის, რომელიც საბჭოთა სამეფოში ნელა, მარა შეუჩერებლივ ვითარდება. პარტიის რიგებში ამტყდარი დავა გამოძახილია იმ უკმაყოფილების, რომელიც ხალხში ძლიერდება. ამის სათავეა გლეხთა და მუშათა ინტერესების და საბჭოთა პოლიტიკის აშკარა წინააღმდეგობა.

სტალინმა, როგორც ვიცით, ტროცკი სძლია და რუსეთიდან განდევნა, მხოლოთ მისი პლატფორმის მთავარი აზრი მიიღო და საბჭოთა ქვეყნების ინდუსტრიალიზაცია სოფლის ხარჯზე პარტიის და მთავრობის დამკვრელ ამოცანათ გამოაცხადა. ამ ახალი პოლიტიკის ნაყოფია ე. წ. «ხუთწლიანი გეგმა». ამერიკას უნდა გაუსწრონ—ეს ბოლშევიკების მორიგი ოცნებაა.

«უმაღლეს სამეურნეო ორგანოებში დიდი მუშაობა დაიწყო»:—სწერს «სოც. უწყების» კორესპონდენტი. შეუდგენ სამეურნეო ორგანოების რეორგანიზაციას, ამუშავებენ ცალკე ტრესტებისათვის სპეციალურ სამეურნეო გეგმებს, ადგენენ ხარჯთაღრიცხვას, შტატს, ადიდებენ სამუშაო დღეებს, ებრძვიან პროფკავშირებს, მაგრამ არავის არ სწამს ამ რეფორმების საჭიროება და აუცილებლობა, არავის სჯერა, რომ აღებული კურსი ხანგრძლივი და მტკიცე იქნება».

როგორც ირკვევა, იჭვი სულ უსაფუძვლო არ არის.

«ხუთწლიანი გეგმა» საჯაროთ ჩაიჭრა»—ასე იწყებს თავის წერილს «დნის» კორესპონდენტი. ურალზე «ხუთწლიანი გეგმის» თანახმათ დიდი ქიმიური კომბინატის აგებას შეუდგენ, მაგრამ უბედურება ის არის, რომ მშენებლობის ტეხნიკური გეგმა უვიცათ შედგენილი აღმოჩნდა. ეს ოფიციალურათ აღიარებულია აღმშენებლებისაგან. ამერიკის ინჟინერების ხელმძღვანელობა პეტროგრადში ტრაკტორის გიგანტის აგების საქმეში ისეთი წარმატებით მიდიოდა, რომ ძალიან გვიან გამოარკვიეს მისი კონსტრუქციის სრული უვარგისობა და ამიტომ აუცილებელი შეიქნა აშენებულის დანგრევა. აურაცხელი ფული და შრომა ფუჭათ ჩაიარა.»

და ასე ჩრდილო კავკასიაში, ხარკოვში და ყოველგან მათი «ხუთწლიანი გეგმა» მარცხით იწყება.

ერთი სპეცი, რომლის ნალაპარაკევი მოთავსებულია გაზ. «დნი»-ში, ასე გადმოგვცემს რუს-სპეცების შეხედულების «ხუთწლიან გეგმაზე».

«ხუთწლიანი გეგმა»? ამ გეგმის სავსებით მიღება არ შეიძლება, მარა არც მთლათ უარყოფა იქნება სწორი და სამართლიანი. ჩვენი ჩერვონეცის კურსი შეუჩერებლივ ეცემა და ასეთ გარემოებაში გონცვრული შერყეული ვალიუტა წარმოებაში დაბანდდეს. ძირითადი ამშენებლობა ამერიკელ სპეციალისტების გეგმის მიხედვით წარმოებს, მოწყობილობა ამერიკულია. ეს ხომ კაპიტალია. ყველა ეს დარჩება, როგორც დარჩება ის სახლები, რომელსაც მოქალაქენი აგებენ. სულ სხვაა «ხუთწლედის» ზოგიერთი მომენტები: ზერნოტრესტი, სოვხოზი»... ეს ანეკდოტია, ფულის და შრომის უმიზნო ხარჯვა. არა, ამ გეგმაში არის აზრი, მხოლოთ უაზრობაც დიდია»...

ჩვენ ვფიქრობთ სპეცი უფრო მართალი იქნებოდა ეთქვა, რომ ეს გეგმა უტოპიაა და სიბრიყვე. ის მარცხით დაიწყო, უეჭველია მარცხით დამთავრდება, მხოლოთ ამ უაზრობაზე გაწეული ხარჯი ისედაც დასუსტებულ სახალხო მეურნეობას კიდევ უფრო დააუძლურებს.

ამისათვის საჭირო ფაქტებს საბჭოთა სინამდვილე ბლომათ იძლევა, საჭიროა მხოლოთ, რომ ფაქტები ალაპარაკდენ!

. .

ცნობილია, რომ დიქტატურას ფაქტების ძალიან ეშინია, სინამდვილეს ის მუდამ მალავს, სიყალბეს ხშირათ სჩადის. და ეს ადვილი საქმეა დიქტატურის ქვეყნებში, იქ, სადაც პიროვნება დაბმულია, თავისუფალი აზრი განდევნილია, საზოგადოებრივობა აკრძალულია, სადაც გასაქანი და გასავალი აქვს ხიშტს, ძალას, ტირანიის სპეციფიკურ ინტერესებს და არა საზოგადოებრივ საჭიროებას, ქვეყნის და ერის მოთხოვნილებას. ასეთ პირობებში ქვეყანა უნდა გატყდეს, ჩამოქვეითდეს, დასნეულდეს ან და ხალხმა ენა უნდა ამოიბა'ს, თავისი ინტერესი წინ წამოაყენოს და ტირანიას დაუპირდაპირდეს. უკანასკნელის ნიშნები რუსეთში თითქოს არის, ხალხის გამოფხიზლების პროცესი თითქოს იწყება.

ქალაქის მოსახლეობას, უფრო მეტათ მუშათა კლასს რეჟიმთან ბრძოლაში განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის, ინიციატივა ხშირათ მისგან გამოდის, შეტევა, დაკვრა მწყობრათ და ორგანიზაციულათ მხოლოთ მას შეუძლია. ამიტომ რუსის მუშის ამოძრავებას დიდი მნიშვნელობა ეძლევა. ამის ნიშნები კიდეც გამოჩნდენ.

«რატომ აკრძალა ამხ. მოლოტოვმა წლევანდელი მოსავლის სტატისტიკის გამოქვეყნება?»

«რა უჯდება ფუთი პური ზერნოტრესტის სოვხოზებს და როგორია მისი წილი პურის საერთო მოსავალში?» რუსეთის მოსახლეობისათვის ეს მწვავე საკითხები პასუხის მისაღებათ დაუყენეს მოსკოვის საოლქო ყრილობაზე კომპარტიის ხელმძღვანელებს. საინტერესოა ის, რომ ამ კითხვების დაყენება გამოძახილია იმ «მრავალი არალეგალური ფურცლების, რომელიც ვრცელდება ქარხნებსა და ფაბრიკებში. ამ ფურცლებში—განაგრძობს «დნის» კორესპონდენტი—მისი უსახელო ავტორები იძლევიან უფრო ფაქტიურ ცნობებს რუსეთის ცხოვრებიდან, ვინემ რაიმე განსაზღვრულ პროგრამას და პოლიტიკურ მოთხოვნილებას. მაგ. ერთი ასეთი პროკლამაცია ეხებოდა პურის საკითხს, იტყობინებოდა, რომ წრეულს პურის მოსავალი 400 მილ. ფუთი ნაკლებია გასულ წელთან შედარებით და სწორეთ ამის გამო მოლოტოვმა აუკრძალა სტატ. განყოფილებას მოსავლის სტატისტიკის გამოქვეყნება. მეორე ფურცელში იყო მოთავსებული საიდუმლო ინსტრუქცია ზერნოტრესტის ბუხგალტერიის მიმართ. ეს ინსტრუქცია ავალებდა მას ისე შეედგინა ანგარიში სოვხოზების მოსავლის და პურის თვითღირებულების შესახებ, რომ ის 70 კაპ. არ ასცილებოდა. ასეთ ფურცლებს დიდის ინტერესით კითხულობენ მუშები.»

ეს მრავალმეტყველი სიპტომია. «თვითკრიტიკა» რეჟიმის კრიტიკაში გადადის. ამას მოქმედებაც მოჰყვება.

უადგილობის გამო ამ ნომერში ვერ მოთავსდა ზოგიერთი წერილი, მათ შორის:

1) «მუშათა მოძრაობა და პოლიტიკა დასავლეთში».

2) «კომინტერნის წინააღმდეგ».

ხედრო მართველობით ნიშნავს ომს არა მარტო ლიმიტროფებთან, არამედ ის არის ევროპიული ომი.

რა ტაქტიკაა ამ შემთხვევაში ჩვენთვის სავალდებულო?

სამხედრო გადატრიალება მიუღებელია რუსის ხალხისათვის პოლიტიკურათ და სოციალურათ, ხოლო არა რუსებისათვის აგრეთვე ნაციონალურად; ის მიუღებელია, აგრეთვე ლიმიტროფების და ევროპის დემოკრატიისათვის. მასთან ბრძოლა არის ჩვენი საერთო ინტერესი. ეს ბრძოლა შეიძლება იწარმოვოს სხვადასხვა ნაირად, თანხმად იმ კონკრეტიული მდგომარეობისა, რომელიც მაშინ გაჩნდება. აქ ეხლა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მხოლოდ ერთი გზა: ნაც. რესპუბლიკები არ იცნობენ მოსკოვის ბონაპარტიზმს და თავის მისგან დამოუკიდებლობას გამოაცხადებენ. მათი მოკავშირე შეიძლება იყოს ორი მხრით; შიგნით, რუსის უკმაყოფილო ხალხი, გარეთ—დაინტერესებული ლიმიტორფები. უკანასკნელთა ჩამორევა სრულიად მოსალოდნელია. ხოლო გარეშე სახელმწიფოთა ჩამორევა გააძლიერებს რუსის ხალხში იმპერიალისტურ სულისკვეთებას და სამხედრო დიქტატურის საჭიროებას. ცხადია ეს გზა მიუღებელია და, რომ ის არც გახდეს შესაძლებელი—საჭიროა ნაც. რესპუბლიკები თავის მოკავშირეს ხედავდეს რუსის ხალხში და მასთან ერთად შეებრძოლონ მოსკოვის ხელისუფლებას. მაშასადამე ნაციონალურ და ავტონომიურ რესპუბლიკათა საერთო ფრონტი და ამ ფრონტში რუსის ხალხის შესვლა, ან და, პირიქით, რუსეთის ანტიბონაპარტისტული ფრონტი და მასში დაჩაგრულ ერების შესვლა—თავდებია გამარჯვების.

და თუ სახეში მივიღებთ, რომ ვერავითარი უეცარი გადატრიალება ვერ ჩაივლის მწყობრად, გაჩაღდება მის წინაღმდეგ ბრძოლა, პირველ ყოვლისა, თვით კომუნისტურ ფენებისაგან, რაიცა გამოიყვანს ხალხს ინერციისაგან; ასეთ საერთო მოძრაობის პერიოდში ერთი სახალხო ანტიბონაპარტისტულ, დემოკრატიულ ფრონტის შედგენა არც ისე ძნელი იქნება. მხოლოდ ერთი პირობით: თუ რუსეთის დემოკრატია ნაციონალურ საკითხში ერთხელ და სამუდამოთ უარყოფს ყოველნაირ ყოყმანს, იცნობს გადაჭრილათ ერთა სუვერენობას და მით გამოაცლის ყოველნაირ ნიადაგს ნაციონალისტებს და ინტერვენციონისტებს.

ამნაირად ჩვენი მიზანია: ბოლშევიზმის ლიკვიდაცია მოხდეს საბჭოთა ხალხების ძალთა კოორდინაციით, მათი შეკავშირებით და ბრძოლის ველზე გამოსვლით, მშრომელთა დემოკრატიის და ნაციათა თავისუფლების დროშით, მხოლოდ ეს დროშა, ეს გამარჯვება იძლევა ნიადაგს აღმოსავლეთ ევროპაში მშვიდობიანობის დასამყარებლათ და ომის დიდი ხნით გასაძევებლად.

როგორც ხედავთ ბოლშევიზმის ლიკვიდაცია არის არა მარტო რუსული, არა მარტო საბჭოთა კავშირის საკითხი,—ის უაღრესად საერთაშორისო პრობლემაა, პირველ ყოვლისა საერთაშორისო დემოკრატიის საკითხია. მასზე გადაბმულია არა მარტო აღმოსავლეთ ევროპის საქმეთა მსვლელობა, არამედ თვით დასავლეთ ევროპის შინაგანი ძალთა განწყობილებისა.

II. საქართველოს საკითხი.

რუსეთის საკითხთან შედარებით, საქართველოს საკითხი მარტივი და ნათელია. ქართველმა ხალხმა გამოარკვია თავისი სახელმწიფოებრივი არსებობა ძალდაუტანებლად, თავისუფალი შეგნებით და გადაჭრილი გადაწყვეტილებით. მან გამოაცხადა დემოკრატიული რესპუბლიკა, ხოლო ამ დემოკრატიაში ბატონობა მიანიჭა მშრომელთა დემოკრატიას, მუშათა და გლეხთა პოლიტიკურ ბლოკს, სოც. დემოკ. მეთაურობით.

ამ ბლოკის მუშაობა გამოიხატა ეკონომიურ სფეროში:—მიწათმფლობელთაგან მამულების ჩამორთმევა უსასყიდლოთ, რის ნაწილი—სახნავ-სათესი მიწები—გედაეცა ღარიბ გლეხობას საკუთრებათ. ტყეები, კულტურული მამულები და ფართე საბალახოები გადავიდა სახელმწიფოს ხელში. მოხდა ნაციონალიზაცია მთამადნების, წყლების, მათ შორის სამკურნალოებისაც; შეიქნა სახელმწიფო, მუნიციპალური და კოოპერატიული აღებ-მიცემობა და მრეწველობა და სხვ. სოციალურ სფეროში: შრომა გამოცხადდა რესპუბლიკის ბაზად და მისი დაცვა რესპუბლიკის განსაკუთრებულ საზრუნავად. ნაციონალურ სფეროში ტერიტორიალურად შემოფარგლულ უმცირესობათ მიენიჭა ტერიტორიალური ავტონომია, თანახმად მათი მოთხოვნისა. ხოლო გაპნეულ უმცირესობათ კულტურული ავტონომია სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე. *)

ეს დაწყებული სოციალური და დემოკრატიული სახელმწიფო მუშაობა შეწყვეტილ იქმნა მოსკოვის ჯარების შემოსევით და ქვეყნის მილიტარული ოკუპაციით. მაგრამ საქართველოს მუშები და გლეხები არ ურიგდება ამ ძალმომრეობას და განაგრძობს ბრძოლას მის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის ორგანოებია აქ: პოლიტიკური ანტისაბჭოთა პარტიები, განსაკუთრებით სოც. დემოკრატია, რომლის გეგემონია უდავოთაა აღიარებული მთელი მებრძოლი ერის მიერ. უცხოეთში ამ ბრძოლას აწარმოებს სოც. დემ. პარტიის ბიურო და სოც. დემ. ნაციონალური მთავრობა, უტერიტორიო მთავრობის ამდენხანს არსებობა და მუშაობა აიხსნება შემდეგი გარემოებით, მან მიიღო სამისო მანდატი დამფუძნებელი კრებისაგან, მის უკანასკნელ სხდომაზე საქართველოში. შემდეგ ეს მანდატი არა ერთხელ დაადასტურა ყველა მებრძოლ პარტიებმა, სოც. დემ. პარტია ყველა თავის ყრილობებზე ნაციონალურ მთავრობის არსებობას კატეგორიულად მოითხოვს. დღევანდლამდე ქართველი ხალხი ამ მთავრობას აღიარებს თავის მთავრობათ, ხოლო ფაქტიურ მთვრობას—უცხოთ.

საქართველოს სოც. დემ. მთავრობა დგას სოც. დემ. პარტიის მიერ გამომუშავებულ პოლიტიკურ ხაზზე და ცდილობს ის გაატაროს იმ საშვალებებით და იმ სფეროებში, როგორიც მას მოეპოება და სადაც კი მიესვლება. ამ პოლიტიკის ძირითადი დებულებანი ანუსხული და განმარტებულია ამ მემორანდუმში.

საქართველოს განთავისუფლების საქმე შეკავშირებულია იმ შინაგან პროცესთან, რომლის შესახებ ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ. მას არ ყავს ისეთი მეზობელი სახელმწიფო, რომლის ჩამორევაზე და დახმარებაზე მას ფიქრი შეეძლოს. ერთად-ერთი მისი მეზობელი—ოსმალეთი, თუ ჩარეულა ჩვენს სიქმეებში-ჩამორეულა ყოველთვის ჩვენს წინააღმდეგ. ძველ ამბებს რომ თავი დავანებოთ, საკმარისია გავიხსენოთ ახალი მისი ჩამორევა 1918 წ. როცა ჩვენი ტერიტორიის უდავო ნაწილები დაიპყრო და შემდგომ დიდ ომში დამარცხებამ იძულებულ ჰყო თავის საზღვრებში დაეხია. და 1921 წ. თებერვალ-მარტში, როცა ბოლშევიკურ ჯარების შემოსევასთან ერთად შემოგვესია მუსტაფა ქემალის ჯარები და ჯილდოთ მოსკოვის მთავრობისაგან მიიღო საქართველოს ორი პროვინცია—არდაგანის და ართვინის (იმავე წლის მარტის ხელშეკრულებით). ჩვენი საზრუნავი ამ ჩამორევის თავიდან აცილებაა. რასაკვირველია, პარტიას არ აქვს ამისი არავითარი საშვალება; ის შეადგენს ნაციონალური მთავრობის ამოცანას. ამ მიზნით ის ახლო დამოკიდებულებაშია კავკასიის მუსულმანურ რესპუბლიკების ნაციონალურ, დემოკრატიულ ორგანიზაციებთან და ცდილობს მათში განამტკიცოს კავკასიური ორიენტაცია.

საზოგადოთ ბოლშევიზმის ლიკვიდაციით გამოწვეულ ატმოსფერაში ერთა კონფლიქტის აცილება შეიძლება მათთან დაახლოვებით, დაკავშირებით და ჩვენ პოლიტიკურ ხაზში მათი წინდაწინვე დარწმუნებით. ამიტომ ჩვენი პარტია დგას საბჭოთა კავშირში ყველა სოციალისტური პარტიების შეთანხმების ნიადაგზე, ხოლო ნაც. მთავრობა ცდილობს ყველა ნაციონალურ ორგანოებს დაუახლოვდეს და მათ შორის გავლენა მოიპოვოს.

ჩვენი აზრით, თუ საქართველოს საკითხი ვერ გადაწყდა საბჭოთა კავშირის შინაგან პროცესთან დაკავშირებით, იმედი გვაქვს, ინტერნაციონალი მხარს დაგვიჭერს მის ერთა ლიგაში დასასმელათ და რუსეთის მომავალ მთავრობის წინაშე ლიგაში მისაღებ ერთ-ერთ პირობათ წამოსაყენებლათ. ამ შემთხვევაში ჩვენ მოვითხოვთ სავალდებულო არბიტრაჟს საქართველო-რუსეთს შორის კონფლიქტის მოსაწესრიგებლად. ნაციონალური მთავრობა თავის მიზნათ ისახავს შეინარჩუნოს საქართველოს საერთაშორისო სტატუტი და მით გაუადვილოს ერთა ლიგას მოხერხებულ დროს ჩვენ საქმეში ჩამორევა.

*) დაწვრილებით იხ. კონსტიტუცია.
„—„ Droits socieux economiques".
„—„ Droits des minorité etniques" (მუხ. 107-113-137).

Rédaction et Administration :
M-r. D. Charachidsé.
26, rue des Bernardies. Paris 5e.

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise.*

Le Gérant : René Toussaint.